ლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24,
ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

№ 274 ოთხშაბათი, 28 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 1,000,000 მან. № 274

დ ღ ი უ რ ი

გაიხსნა აზერბაიჯანის საბჭოთა მესამე ყრილობა.

კიევში აღმოაჩინეს კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობას.

პარიზში მოხდა საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეების დემონსტრაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10-000 კაცმა.

საბერძნეთში ძლიერდება რესპუბლიკანური მოძრაობა.

სოფიაში დაიწყო სტამბულინსკის ყოფილ მთავრობის წევრების გასამართლება.

გაზ. „კომუნისტი“-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ ნოემბრიდან გაზეთ „კომუნისტ“-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით	1 მ. 50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — —	1 მ. 60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის	1 მ. 20 კ.

„ჩ ი რ ა ღ დ ა ნ ი“

დეკემბრის ორიდან იწყებს გამოსვლას „კომუნისტი“-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი“, რომელიც **დაურიგდება ხელის მომწერლებს უფასოთ.**

ჟურნალ „ნიანგი“-ს ფასები:

თვიურათ ყველასათვის — —	30 კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — —	15 კ.

„დემოკრატიზმის გზით“... ფაშისტური დიქტატურისაკენ

ან დიქტატურა პროლეტარიატის ან დიქტატურა ფაშიზმის—ასე იდგა კითხვა გერმანიაში. ასეთი ორნაირი შესაძლებლობის ირგვლივ იყო იქ გაჩაღებული საზოგადოებრივ ძალთა ბრძოლა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიას კი პრეტენზია ჰქონდა გამოსულიყო როგორც ერთის, ისე მეორის წინააღმდეგ მხოლოდ იმიტომ, რომ ფაქტიურად გაეკეთებია საქმე შავი რეაქციის. დემოკრატიზმი სიტყვით, ხოლო ფაშიზმი საქმით—ასეთი შეიქნა გერმანიის მენშევიკური სოციალ-დემოკრატიის „მოღვაწეობა“—და გაბატონებულმა კლასებმა კიდევაც მიაღწიეს უკვე რამოდენიმეთ თავიანთ მიზანს სოც.-დემოკრატიის დახმარებით. ამ უკანასკნელის საშუალებით მათ რასკოლი შეიტანეს მუშათა კლასში, დაქსაქსეს მისი რიგები სწორეთ იმ დროს, როდესაც საჭირო შეიქნა ამ რიგების უფრო შეკუმშვა და ერთი ნებისყოფით მედგარი დარტყმა ფაშიზმზე. სოციალ-დემოკრატიული ნიღაბი ბურჟუაზიისა ბრძოლისათვის ამდგარ ხალხს მოუწოდებდა „დემოკრატიის“ დასაცავად „კონსტიტუციური“ გზით სვლას, ხოლო ნამდვილათ კი ეს ნიღაბ[illegible] აფარებული გაბატონებული [illegible] თავიანთ გამარჯვების საქმეს, ერთი მეორეზე სპობდენ წითელ რესპუბლიკებს, შლიდენ შეიარაღებულ რაზმებს მუშა რევოლიუციონერებისას, არბევდენ კომპარტიისა და რევოლიუციონური კავშირების ორგანიზაციებს და როდესაც მათ საკმაოთ დაასუსტეს პროლეტარიატის წინააღმდეგობის ძალა და უნარიანობა, დაქსაქსეს მისი რიგები სოციალ-დემოკრატების ღალატით მუშათა კლასისადმი—შემდეგ უკარნახეს სახელმწიფოს მეთაურს ისევ სოციალ-დემოკრატ ებერტს დაენიშნა დიქტატორი, რომელიც გაუსწორდებოდა, როგორც ეს მათთვის საჭირო იყო, გერმანიის კომუნისტურ პარტიას, ამ ერთათ-ერთ რევოლიუციონურ ძალას და მათ ნამდვილ მესაფლავეს. შედეგი იყო ის, რომ სოციალ-დემოკრატიისა და ბურჟუაზიის ნებასურვილების ამსრულებელმა გენერალ ფონ-სეკტმა გაუქმებულათ გამოაცხადა კომუნისტური პარტია გერმანიის, დააყენა ის კანონის გარეშე: ახდენენ ლიკვიდაციას მისი ორგანიზაციებისას, დახურეს ყველა გაზეთები, კლუბები და პარტიის სადგომები დაიკავა პოლიციამ ან ჯარმა. გერმანიის კომპარტია იძულებულია იარსებოს არალეგალურათ, თავისი გამომცემლობა გადაიტანოს საზღვარგარეთ ისევე, როგორც ეს მოახდინა ერთ დროს ლიბკნეხტისა და ბებელის პარტიამ ბისმარკის „განსაკუთრებული კანონების“ შემდეგ, რომელთა მიზანი იყო მოეკლა სოციალ-დემოკრატია გერმანიის.

ჩვენ ვიცით რითი დათავდა ბისმარკის ცდა. ციურიხის „ფოლკსშტაატი“ (მაშინდელი ცენტრალური ორგანო არალეგალურ ცხოვრებაზე გადასული სოციალ-დემოკრატიისა) ვილჰელმ ლიბკნეხტის რედაქტორობით შეიქნა ის საყვირი, რომელმაც შეაგროვა გაფანტული ძალები პროლეტარიატის პოლიტიკური ორგანიზაციის და დარაზმა ისინი უდიდეს პოლიტიკურ პარტიაში. ჩვენ არ გამოვუდგებით იმის დახასიათებას, თუ როგორ გამოიყენა გაერთიანებული გერმანიის ბურჟუაზიის შემდეგი ათეული წლების მემკვიდრეებმა ეს ძლიერება სოციალ-დემოკრატიისა, მაგრამ საკმაოა გავიხსენოთ ამ უკანასკნელის როლი საზოგადოთ, მსოფლიო ომის დროს განსაკუთრებით და კერძოთ უკანასკნელ რევოლიუციონურ დღეებში გერმანიაში, რათა ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ ის, რომ სოციალ-დემოკრატიამ დროებით გადაარჩინა ბურჟუაზია, რომელიც მას ერთ დროს „განსაკუთრებული კანონებით“ ებრძოდა.

ჩვენ ყოველი საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ბისმარკის უნიჭო ლანდები არ გამოდგებიან უფრო ბედნიერი, ვინემ მათი წინაპარი და ჩვენი ძმური პარტია, ავანგარდი გერმანიის პროლეტარიატის გამოვა გამარჯვებული იმ მდგომარეობიდან, რომელიც თავს მოახვია მას გაერთიანებულმა რეაქციონურმა ძალებმა: ფაშიზმმა და სოციალ-დემოკრატიამ

კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციის ლიკვიდაცია

როგორც მკითხველი გაიგებს ჩვენი დღევანდელი გაზეთიდან, კიევში ამას წინედ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველომ აღმოაჩინა კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, „ოქმედების კიევის საოლქო ცენტრი“-ს სახელწოდებით, რომელიც წარმოადგენს პარიზის საჯაშუშო ცენტრის განყოფილებას.

ამ ცენტრს ფართე კავშირი ჰქონია გაბმული შავრაზმულ ორგანიზაციებთან და ის ჯაშუშობას ეწეოდა ესერების მონაწილეობით, რომლებიც მასთან შეთანხმებულნი იყვნენ საერთო ბრძოლის შესახებ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

„კიევის ცენტრი“ ცდილობდა გაეგო რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოებანი და ასეთები მიეწოდებია უცხო სახელმწიფოებისათვის. მან მოახერხა, თავისი აგენტების საშუალებით, მოეტაცნა კიევის სამხედრო ოლქიდან სამობილიზაციო დოკუმენტები და გადასცა ერთ-ერთ მოსაზღვრე, საბჭოთა რესპუბლიკისადმი მტრულად განწყობილ ქვეყნის მთავრობას. ამ გვარად, ეს ორგანიზაცია გამოდის სახელმწიფოს გამცემის როლში.

შიგნით ეს ორგანიზაცია ცდილობდა რღვევა შეეტანა საბჭოთა აპარატში და ამისათვის ეფარებოდა რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ ლოზუნგებს.

თავის საშუალებათა „გასაძლიერებლად „კიევის ცენტრი“ აწყობდა სხვადასხვა კომბინაციებს, რაც დიდ ზიანს აყენებდა ქვეყნის მეურნეობას.

ძებნა-ძიებამ აგრეთვე გამოაშკარავა „პარიზის ცენტრის“ პოლიტიკური კომბინაციები, რომელთა მიზანი იყო ინტერვენციის გამოწვევა საბჭოთა რესპუბლიკის საქმეებში.

ამასთან ხაზგასასმელია, რომ კიევის მენშევიკები და ესერები ეხმარებოდნენ ამ ორგანიზაციას მისი კონტრ-რევოლიუციონურ, არალეგალურ ჟურნალის გავრცელებაში.

ეს ფაქტი ერთხელ კიდევ აფრთხილებს მუშებს და გლეხებს, რომ მათ მტრებს არ სძინავთ, რომ ისინი კვლავ განაგრძობენ „მოღვაწეობას“.

საბჭოთა ხელისუფლება ექვსი წლის განმავლობაში საკმაოდ განმტკიცდა, მან გაანადგურა შინაური კონტრ-რევოლიუცია და გარეშე მტრებსაც დაუკარგა თავდასხმის ხალისი. ჩვენი მშრომელი ხალხი კარგა ხანია უდიდეს აღმშენებლობითი მუშაობაშია ჩაბმული.

მაგრამ კიდევ არიან დარჩენილი შავი, ავანტიურისტული პირები თუ ჯგუფები, რომელნიც ვერ ინელებენ მუშათა კლასის გამარჯვებას და არაფერ საშუალების წინაშე არ ჩერდებიან, რომ ზურგში ლახვარი ჩასცენ მას.

მართალია, თავგაჭყლეტილი კონტრ-რევოლიუციის ეს ნამსხვრევები თავის თავად რაიმე სერიოზულ საფრთხეს არ წარმოადგენენ, მაგრამ განსაზღვრულ საერთაშორისო პირობებში მათ შეუძლიათ საკმაოდ დიდი ზიანის მიყენება მშრომელთა რესპუბლიკისათვის.

შეუბრალებელი გასრესა ამ კონტრ-რევოლიუციონურ შაიკების და ჯაშუშებისა—შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას.

აშკარა თეთრგვარდიელებზე არა ნაკლებ უნდა იქნან ალაგმულნი მათი აგენტები—ესერები და მენშევიკები.

როდესაც ესერების ცნობილ პროცესზე, ცეკისტ-ესერების უმაღლესი დასჯის საკითხი საბჭოთა ხელისუფლებამ დაუკავშირა ესერთა პარტიის შემდეგი მოქმედებას,—ეს ბევრს გაუგონარ სისასტიკეთ მოეჩვენა.

მაგრამ ესერების მერმინდელმა „მოღვაწეობამ“ ცხადჰყო, რომ საბჭოთა ხელისუფლების ეს გამაფრთხილებელი ზომა, ნაკარნახევი მხოლოდ და მხოლოდ რევოლიუციის მონაპოვართა დაცვის მიზნით, აუცილებელი და მიზანშეწონილი იყო

ესერების პარტია დაიშალა, მისმა ქვედა ფენებმა დაგმეს თავიანთი ყოფილი „ლიდერების“ მოღალატეობა და ბოროტმოქმედებანი. მიუხედავად ამისა, კიდევ არიან ამ ყოფილ პარტიიდან არა მარტო საზღვარგარეთ, არამედ, რუსეთშიაც გაუსწორებელი ელემენტები, რომელთა მოქმედება მხოლოდ რკინით და სისხლით შეიძლება.

საბჭოთა ხელისუფლება ამ ვაჟბატონებს გაუსწორდება, როგორც რიგი და წესია.

ესერებს არ ჩამორჩნენ მენშევიკებიც.

ქართველი მენშევიკების ამბავი ჩვენ კარგად ვიცით.

ამ დღეებში გამოქვეყნებულ „ფრანსუა-ხომერიკის“ მასალიდანაც გაეცნობოდა მკითხველი, რომ ჩვენებური მენშევიკები უკავშირდებიან ბანდიტებს, და აგრეთვე ცდილობენ იარაღის შეძენას საზღვარ-გარეთ და იმპერიალისტურ ქვეყნების გალაშქრებას საქართველოს მუშების და გლეხების წინააღმდეგ. მათ სურდათ მოეხდინათ შეიარაღებული აჯანყება.

სულ სხვა საკითხია, რომ ყველა მათი ცდა უშედეგოა და ფარსის ხასიათს ღებულობს.

რაც შეეხება რუსეთის მენშევიკებს, ისინი აცხადებდნენ, რომ კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებთან არა აქვთ არავითარი კავშირი, საბჭოთა ხელისუფლებას ებრძვიან მხოლოდ „მშვიდობიანი“ გზით, მუშების თავიანთი გარშემო დარაზმვის გზით.

ჩვენ იმ თავითვე იმ აზრისა ვიყავით, რომ მენშევიკები ყველგან, როგორც საქართველოში, ისე რუსეთში და სხვაგანაც, ერთი „მარკის“ ხალხია და ისინი ებრძვიან მუშათა კლასს, საბჭოთა ხელისუფლებას არსებითად ყველა საშუალებით. მათი ბრძოლის მეთოდებში განსხვავება ამა თუ იმ შემთხვევაში აიხსნება მხოლოდ შექმნილ პირობებით და გარემოებით.

მენშევიკების კავშირი კიევის შავრაზმელთა ორგანიზაციასთან ამ მხრივ ბევრი რამის მეტყველია.

თეთრგვარდიელებს, ესერებს, მენშევიკებს ერთიანი ფრონტი აქვთ შექმნილი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ჩვენი გამარჯვებული მუშათა კლასი მათ თავის ადგილს მიუჩენს.

წერილები მოსკოვიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობა

17 ნოემბერს, მოსკოვის ბეჭდვითი სიტყვის სახლში გაკეთებულ იქნა მოხსენება ამხ. იაკოვლევის მიერ ბეჭდვითი სიტყვის მდგომარეობის შესახებ საბჭოთა რესპუბლიკებში.

მუშათა პრესის მხრივ მომხსენებლის აზრით, ჩვენ მიგვიღწევია საგრძნობელ წარმატებისათვის. მუშათა გაზეთების ტირაჟი ამ უკანასკნელ დროს შესამჩნევათ გაზრდილა. უმთავრესად ეს ზრდა ხდება მსხვილ სამრეწველო და პროლეტარულ ცენტრებში, სადაც მუშათა გაზეთების ტირაჟი უდრის ნახევარ მილიონს. პეტროგრადის „წითელი გაზეთი“ გამოდის 85 ათასს ეგზემპლიარათ; „ურალის მუშა“ ოქტომბერში 50 ათასი, აპრილში კი ის გამოდიოდა მხოლოდ 19 ათასს ეგზემპლიარათ. საშუალოდ ერთი გაზეთი მოდის 4—5 მუშაზე. გაზეთების კავშირი მუშების მასებთან მჭიდროა, რასაც ამტკიცებს ის, რომ გაზეთის მუშაობაში მონაწილეობას იღებს მუშათა კორესპონდენტების დიდი რიცხვი. მაგალითად, „რუსეთის კაჩეგარკა“-ს ჰყავს 550 მუშა კორესპონდენტი, „ურალის მუშას“ 400. საერთოდ მუშათა პრესის ახლანდელი მდგომარეობა უნდა ჩაითვალოს სასურველად და ახლო მომავალში უნდა ვეცადოთ შევინარჩუნოთ ის.

შედარებით მუშათა პრესასთან, ცუდ მდგომარეობაში არიან გლეხების გაზეთები. მთლად მათი ტირაჟი არ აღემატება 85 ათს. ეგზემპლიარს, რაც შეადგენს მთელი ჩვენი პრესის მხოლოდ 5 პროცენტს. ამასთანავე გლეხთა გაზეთების უმეტესი ნაწილი გამოდის კვირაში ერთჯერ, ან ორჯერ. ყოველდღიურები კი ცოტა არიან. თვით გლეხობაში გაზეთების გავრცელების საქმეც ცუდათ არის დაყენებული. სოფლამდი გაზეთი ძალიან იშვიათად მიდის. შინაარსიც არ ვარგა და გლეხობისათვის გაუგებარ ენაზე იწერებიან, ერთი-ორი გაზეთის გამონაკლისის გარდა. არც კორესპონდენტები ჰყავს გლეხების გაზეთებს სოფლათ. გლეხების გაზეთები ვერ ასრულებენ იმ ამოცანას, რომელიც ახლა ცხოვლად არის დასმული—მუშა-გლეხთა კავშირის გამტკიცებას. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გლეხების გაზეთების კარგათ დაყენებას და გამოცოცხლებას როგორც შინაარსის მხრივ, ისე მის გავრცელებასაც.

არა ნაკლები ყურადღების ღირსია ნაციონალური პრესა. ისიც ძალიან სუსტია. მისი ტირაჟი შეადგენს გაზეთების მთელი ტირაჟის 5 პროცენტს. თითქმის ყველა რესპუბლიკებში ნაციონალური პრესა უფრო ნაკლებათ გამოდის, ვიდრე რუსული. მაგალითად, თათრების რესპუბლიკაში რუსული გაზეთები შეადგენენ 60 პროც., ადგილობრივ ენაზე კი 40 პროც. სხვაგან ეს რიცხვი კიდევ უფრო მცირეა. ამ მხრივ ყველაზე უფრო დაბლა დგას უკრაინა. შინაარსის მხრივ მომხსენებელი ნაციონალურ გაზეთების უმეტეს ნაწილს ახასიათებს, როგორც ინტელიგენტურ-ბიუროკრატიულს. მთლად ნაციონალური გაზეთების რიცხვი უდრის 93 (ყველა საბჭოთა რესპუბლიკებში). უნდა იქნეს მიღებული ზომები ნაციონალურ პრესის გასაფართოვებლათ და გასაძლიერებლათ. მათი რიცხვი უნდა გადიდდეს. ადგილობრივი რუსული გაზეთების რიცხვი შეიძლება დაყვანილი იქნას 2 ან 3-მდე.

წიგნების გამომცემლობის მხრივ, მომხსენებელი ამბობს, რომ ფორმალურად საქმე დიდებულად არის დაყენებული. იცემა წიგნების საგრძნობი რიცხვი. ამ წელიწადში გამოცემულია 12 ათასი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი. უმეტესი მათგანი შინაარსის მხრივ ვერ აკმაყოფილებდა მასების მოთხოვნილებას. ბევრი გამოდის უწყებრივი ლიტერატურა, რომელსაც არავისათვის სარგებლობა არ მოაქვს და არავისთვის საჭირო არ არის. საჭიროა ამის წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღება. დასმულია ამოცანად 24 წლის პირველ იანვრამდე უწყებრივი ლიტერატურის გამოცემის 50 პროც. შემოკლება. ამით განთავისუფლებული ხარჯები უნდა წავიდეს მასებისათვის საჭირო წიგნების გამოცემაზე.

საერთოდ წიგნის გამოცემის საქმე ცუდათ არის დაყენებული. ახლო მომავალში ის უნდა გამოსწორდეს. უნდა იქნეს მიღებული ზომები, აგრეთვე, წიგნის გასაიაფებლად, რომ ის გახდეს ხელმისაწვდომი მასიურ მკითხველებისათვის.

ს. გ.

მოსკოვი, 21 ნოემბერი.

წერილები ბერლინიდან

სოციალ-დემოკრატების ღალატის შედეგები

გვგონებათ თითქოს პოლიტიკაში გამეფდა სრული ქაოსი, მაგრამ მხოლოდ გარეგანი გამოხატულებაა ასეთია... რეაქცია მუშაობს.

მთავრობიდან გამოსული სოციალ-დემოკრატი მინისტრები ჯერ კიდევ არ შეუცვლიათ. კანონი სრული უფლების მინიჭების შესახებ, რომელიც ძალაში უნდა ყოფილიყო მხოლოდ იმ დიდი კოალიციის ხელისუფლების დროს, რომელიც ავტომატიურათ დაიშალა შმიდტის, ზოლმანის და რადბრუხის გადადგომის შემდეგ, კიდევ ძალაში არის დატოვებული. იყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ სამინისტრო შეევსოთ აპოლიტიკური პირებით. შემდეგ გამოირკვა, რომ ბავარიის და მძიმე ინდუსტრიის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ შტრეზემანი მოლაპარაკებას აწარმოებს მის მთავრობაში ნაციონალისტების შეყვანის შესახებ. ეს კი ნიშნავს პირდაპირ უკიდურესი მემარჯვენეების დიქტატურის დამყარებას. ნაციონალისტები მთავრობაში შესვლის პირობათ აყენებენ: სოციალ-დემოკრატების მთავრობიდან გამორიცხვას და მათთვის (ნაციონალისტებისათვის) მნიშვნელოვან პორტფელების ჩაბარებას. ილაპარაკეს დირექტორიაზე, რომლის სათავეში უნდა ყოფილიყო ბ. მინუ, რომელმაც თავი დაანება ბ-ნ ჰიუგო სტინესის წარმოებათა მთავარი დირექტორობის თანამდებობას, რათა სავსებით გართულიყო პოლიტიკაში. მოქალაქე რევენტლოვმა გამოაცხადა, რომ ჰერგტმა, ნაციონალისტების ერთ-ერთმა ლიდერმა და გენერალმა სეკტმა, რეიხსვერის მთავარსარდალმა მიაღწიეს სრულ შეთანხმებას. როგორც სჩანს, ყველაფერი ხელს უწყობს იმას, რომ ახლო მომავალში დამყარდეს დიქტატურა სტინესის, შეიძლება—სტინეს-ლიუდენდორფის.

შევჩერდებით განზრახულ ან, უკეთ რომ ვსთქვათ, უკვე დაწყებულ გადატრიალების მრავალრიცხოვან ნიშნებზე. ფონ პრეგერმა, ბავარიის წარმომადგენელმა ბერლინში „მიუნხენის საღამოს გაზეთის“ ერთ-ერთ რედაქტორს გადასცა აშკარა დეკლარაციები იმის შესახებ, თუ რა სურს მის მთავრობას: „ჩვენ გერმანელებათ ვრჩებით მთელი ჩვენი სულით: ჩვენ არ ვფიქრობთ გერმანიისაგან გამოყოფას. მაგრამ ჩვენ გვინდა ბოლო მოუღოთ იმას, რასაც უწოდებენ რევოლიუციის მონაპოვარს და დავამყაროთ წესრიგი...“ ამ პოლიტიკური პროგრამის გამოთქმა შეიძლება ორი სიტყვით: „გერმანიის ბავარიზაცია“.

ფონ კარმა, რომელიც ანხორციელებს ამას თავის საბრძანებელოში, აკრძალა ბერლინის მთავარ ლიბერალურ გაზეთების: „ბერლინერ ტაგებლატ“-ის, „ფოსიშე ცეიტუნგ“-ის, „ფორვერტს“-ის და აგრეთვე „ფრანკფურტის გაზეთის“ ბავარიაში გაყიდვა. ეს ამტკიცებს იმას, თუ როგორ ესმის მას „პრესის თავისუფლება“. საქსონიაში ასე ესმის ეს გენერალ მიულერსაც: მან ამას წინათ აკრძალა რაიმე ინფორმაციის გამოქვეყნება, გარდა ოფიციალურ ცნობებისა, ისეთ შემთხვევების შესახებ, როდესაც რეიხსვერი მიმართავს იარაღს, ესე იგი როდესაც ხოცავენ მუშებს.

წითელ ტიურინგიაში მოქმედობს გენერალი რეინჰარდტი. მისი თავხედობა დაუჯერებელი იქნებოდა ჩვენთვის, რომ გერმანიის თანამედროვე ამბებში ჩვენ არ გავსცნობოდით ოფიციალური მთავრობის ყოველგვარ ორმაგ თამაშს, ყოველგვარ მუხანათობას სოც.-დემოკრატიის, რომელიც ურიგდებოდა ყოველივე ამას, შეიარაღებული რეაქციის ყოველგვარ საზიზღრობას. 30,000-დე ბავარიელი ნაციონალისტი-ვოლონტიორი, რომელთაც ინახავს მიუნხენის მთავრობა, დაბანაკებულია მუშათა ტიურინგის საზღვრებთან. კობურგის ჰერცოგის კოშკში მოთავსებულია ჰიტლერის მთავარი ოფიციალური შტაბი. „რკინის მუზარადის“ (ფაშისტური ორგანიზაცია) ცენტრალური კომიტეტი უგზავნის შტრეზემანს ბარათს, რომლითაც წინადადებას აძლევს დაამყაროს ნაციონალური დიქტატურა. ბარათი თავდება შემდეგი სიტყვებით: „იმოქმედეთ ისე, რომ სხვებს არ დასჭირდეთ მოქმედება“. დიდი მითქმა-მოთქმაა ბურჟუაზიულ დემოკრატიულ და თვით კათოლიკურ წრეებშიაც. მთავრობა აცხადებს, რომ გაგზავნილია რეიხსვერის ჯარები ტიურინგიის და ბავარიის საზღვრებთან. მაგრამ გენერალი რეინარდტი, რომელსაც უბრძანა ჰესლერმა („ფორვერტსის“ ცნობების და რეიხსვერის მინისტრის წერილის მიხედვით) დაიცვას ტიურინგია ნაციონალისტური ბანდების მოსალოდნელ თავდასხმისაგან, აცხადებს აფიშებით სახელმწიფოს ყველა ქალაქებში, რომლებშიაც ბურჟუაზიული პრესის განცხადებით სუფევს „საუცხოვო წესრიგი“, რომ მან ამას წინათ სახელმწიფოში აღადგინა წესრიგი, ბოლო მოუღო წითელ ტერორს, განაიარაღა „მუშათა რაზმები“. ტიურინგიის დაცვა ღებულობს ამ მუშური ქვეყნის სამხედრო ოკუპაციის და განიარაღების ხასიათს. მაგრამ თავისი ბრძანებით ჰესლერი ფიქრობს დაიცვას რეიხსვერი პრესისაგან და ბოლო მოუღოს არმიის წინააღმდეგ გალაშქრებას.

ფაქტიურათ უკვე გამეფებულია რეაქციონური დიქტატურის რეჟიმი, მას აკლია მხოლოთ ოფიციალური სანქცია, რაც საკმაოთ ძნელი საქმეა, ვინაიდან მუშათა კლასი, რომელსაც ჯერ ბრძოლა არ გაუმართავს, მაგრამ მაინც დამარცხებულის მდგომარეობაშია, კიდევ შიშს ჰგვრის მმართველ პარტიებს, რომლებიც მიზნათ ისახავენ შრომის ექსპლოატაციის გაძლიერებას! ეხლა აშკარა ხდება სოციალ-დემოკრატების მუდმივი ღალატის (სოციალ-დემოკრატიის შესვლა დიდ კოალიციაში, შტრეზემანის კაბინეტის გადახალისება, საალყო წესების შემოღება, ფართო უფლებების მინიჭებისათვის ხმის მიცემა) საშინელი შედეგები და აგრეთვე იმ მემარცხენე სოციალ-დემოკრატების მიუტევებელი უმოქმედობა, რომლებმაც ხელიდან გაუშვეს საქსონიაში ჯარების შესვლის დროს მუშათა თავდაცვის მოხერხებული მომენტი. ეხლა კი მოქმედების ინიციატივა თავისთავზე იღვა მოწინააღმდეგე კლასმა. კლასობრივ ბრძოლაში ომი, რომელიც არ იქნება გამახვილი, შეიძლება ჩაითვალოს დამარცხებათ და მას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც უკანასკნელს.

რ. [illegible]

ბერლინი, 8 ნოემბერი.

რადიო-დეპეშები

(„ზაკროსტა“-ს ცნობები)

გ ე რ მ ა ნ ი ი ს ა მ ბ ე ბ ი

ახალი მთავრობის შედგენის გარშემო: უცხოეთის პრესა ალბერტის მთავრობას უყურებს, როგორც შტრეზემანის მთავრობას უშტრეზემანოთ.

ალბერტს ჯერ კიდევ არ შეუდგენია მთავრობა; ის განაგრძობს მოლაპარაკებას პარტიების ლიდერებთან.

შტრეზემანის მთავრობის ზოგიერთი წევრები დარჩებიან ალბერტის მთავრობაშიაც.

მთავრობა „მუშაობს“: არალეგალურ მდგომარეობაზე გადასულ კომპარტიას თავისი ცენტრალური დაწესებულებანი გადააქვს საზღვარგარეთ.

ჰამბურგში დაატუსაღეს რადიკალები.

გერმანიის მარკა კიდევ უფრო ეცემა.

გერმანიის ზოგიერთ ადგილებში უსურსათობის ნიადაგზე ადგილი აქვს ახალ-ახალ არეულობას.

ახალი მთავრობის მოლოდინში

დახასიათება.

ლონდონი. 27 ნოემბ. გერმანიის ახალი კაბინეტს პარიზში ახასიათებენ, როგორც შტრეზემანის კაბინეტს უშტრეზემანოთ.

პარიზი. 27 ნოემბერი. ახალი კანცლერი ალბერტი, როგორც სჩანს, არ შეადგენს ორიენტაციის მხრით შტრეზემანის კაბინეტისაგან თვალსაჩინოთ განსხვავებულ კაბინეტს. ბერლინის ამერიკელთა წრეებში უხერხულ მდგომარეობას ქმნის ჩრდილოეთ შტატებში ომის დროს არსებულ გერმანულ პროპაგანდის ხელმძღვანელის დასახელება კანდიდატათ მინისტრის პოსტზე.

ბერლინი. 27 ნოემბ. კაბინეტის მდგომარეობა ჯერ გამოურკვეველია. „ფორვერტს“-ის ცნობით ყოფილ მინისტრს ალბერტს იმედი აქვს სამშაბათისთვის ჩამოყალიბოს ახალი კაბინეტი.

მთავრობის შედგენისათვის.

პარიზი. 27 ნოემბერი. „მონტაგ პოსტ“-ის ცნობით, ალბერტი ყოველგვარი საშუალებით ცდილობს მოიწვიოს კაბინეტში სოციალისტები, მაგრამ, როგორც სჩანს, უკანასკნელნი არ თანხმდებიან. სოციალისტების თანამშრომლობის მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენს საკითხი საალყო წესების შესახებ. პრეზიდენტი ებერტი რეიხსტაგის დათხოვნას მოელის, თუ ახალი კაბინეტიც ჩაიშალა.

პარიზი. 27 ნოემბერი. ბერლინიდან იუწყებიან, რომ კანდიდატებათ გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე ასახელებენ ჰინტცეს და ბროკდორფ-რანცაუს. მოსალოდნელია ჰესლერის, კანიტცის და ზიუდეკუმის შესვლა კაბინეტში.

ახალი მთავრობის შედგენის გარშემო

ახალი კაბინეტის შედგენის ცდა.

ბერლინი. 26 ნოემბ. კარდორფის მიერ კაბინეტის შედგენის ცდა უნაყოფოთ დამთავრდა, რადგან ამას წინააღმდეგობა გაუწიეს ნაციონალისტებმა და სახალხო პარტიამ. ორივე დასახელებული პარტია ეწინააღმდეგება, საზოგადოთ პარლამენტარულ მთავრობის შექმნას.

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი წინადადებას აძლევს ებერტს დაითხოვოს რეიხსტაგი და თავის თავზე აიღოს მთავრობის შედგენა.

ფიქრობენ, რომ თუ კაბინეტის შედგენა დაევალება ნაციონალისტების რომელიმე ლიდერს, იგი მოითხოვს რეიხსტაგის დათხოვნას.

კარდორფის უნაყოფო ცდის შემდეგ, კოალიციონურ მთავრობის შედგენის გეგმა მიტოვებულია.

ებერტმა წინადადება მისცა კუნოს კაბინეტის ყოფილ წევრს ალბერტს შეადგინოს საქმიანი კაბინეტი. ალბერტმა მიიღო ეს წინადადება.

ალბერტი მოლაპარაკებას აწარმოებს ლიდერებთან. შტრეზემანმა უარი განაცხადა გარეშე საქმეთა მინისტრის პორტფელზე. როგორც სჩანს, შინაგან საქმეთა მინისტრი იარესი, მეურნეობის მინისტრი ბრაუნსი, ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი გეფლერი და გზათა მინისტრი ეზერი დარჩებიან თავიანთ თანამდებობებზე.

გარეშე საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობა დაევალება უთუოდ ბალცაონს. ფულის ტრიალის საკითხები რეიხსბანკის დირექტორის კომპეტენციაში გადავა. კანდიდატათ რეიხსბანკის დირექტორის თანამდებობაზე ასახელებენ პახტას.

ახალი მთავრობის „შედგენა“

ლონდონი. 27 ნოემბერი. „დეილი მეილ“-ის ბერლინის კორესპონდენტი იტყობინება, რომ ცდები, რომელნიც მიმართული იყვნენ ახალი პარლამენტარულ მთავრობის შექმნისაკენ, ჯერ-ჯერობით უშედეგოთ დამთავრდა. პრეზიდენტმა ებერტმა წინადადება მისცა ჰენრიხ ალბერტს შეადგინოს მთავრობა „ენერგიულ პირებისაგან“, რომელნიც მზად იქნებიან ყოველგვარი ზომები მიიღონ ქვეყნის არსებით მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლათ. ჰენრიხ ალბერტი ომის პირველ ხანებში იყო გერმანიის საელჩოს კომერციული მდივანი ვაშინგტონში, სადაც ის პროპაგანდას ეწეოდა იმ მიზნით, რომ შეერთებული შტატები არ დახმარებოდენ მოკავშირეებს. ალბერტს იმედი აქვს, რომ ორშაბათისათვის ის შესძლებს ახალი მთავრობის შედგენას. შტრეზემანმა უარი სთქვა დარჩენილიყო გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე, მაგრამ ძველი მთავრობის ზოგიერთ წევრებს გადაწყვეტილი აქვთ დარჩენ თავის წინანდელ თანამდებობაზე.

ლონდონი. 27 ნოემბერი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ რეიხსტაგის წრეებში ფიქრობენ, რომ მდგომარეობა მეტის მეტად გამოურკვეველია. პრეზიდენტმა ებერტმა ალბერტს მიანდო შეადგინოს ახალი მთავრობა, რომელშიაც უნდა შევიდენ მხოლოდ ბიუროკრატები. ცენტრი უარყოფს ყოველგვარ აზრს იმის შესახებ, რომ ახალი კაბინეტი იყოს პოლიტიკური.

ლონდონი. 27 ნოემბ. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ **რეიხსტაგი ალბათ ჩამოაგდებს ალბერტის მთავრობას**, რის შემდეგაც პრეზიდ. ებერტი დაუყოვნებლივ დაითხოვს რეიხსტაგს. **ამ შემთხვევაში დიქტატორათ იქნება გენერალი ფონ-სექტი.**

უცხოეთის პრესის აზრი შტრეზემანის გადადგომის შესახებ

ფრანგული პრესის აზრი.

პარიზი. 26 ნოემბ. არჩევს რა შტრეზემანის გადადგომას, საფრანგეთის პრესა კმაყოფილებას გამოსთქვამს გერმანიაში ანარქიის ზრდის გამო და აცხადებს, რომ ეს ანარქია ერთად-ერთი გარანტიაა საფრანგეთის უზრუნველყოფისათვის. მემარცხენე პრესა, პირიქით, მწუხარებით იგონებს, რომ შტრეზემანი საფრანგეთ გერმანიის შეთანხმებისაკენ მიისწრაფოდა, რასაც საფრანგეთის მთავრობა ეწინააღმდეგებოდა.

საფრანგეთის პრესა ერთხმად აღიარებს, რომ გერმანიის ფაქტიური მმართველი არის სექტი.

ინგლისის პრესის აზრი.

ლონდონი. 26 ნოემბ. „ტაიმს“-ი სწერს; გერმანიის დაყოფა—შესრულებული ფაქტია. გერმანიის ერთი ნაწილი გადაიქცა ცალკე სახელმწიფოთ, რომელიც საფრანგეთის კონტროლს ექვემდებარება. მეორე ნაწილს კი ანარქია დაეუფლა. **ყოველივე ამისათვის საფრანგეთს უნდა უმადლოდეთ“.**

დაპყრობილ ოლქებში

რ უ რ ი.

ბერლინი. 26 ნოემბერი. რურის მრეწველთა და ფრანგებს შორის შეთანხმება ხელმოწერილია. ვოლფის სააგენტო ნახევრათ ოფიციალურ ცნობაში ამ შეთანხმების პირობებს არახელსაყრელათ სთვლის გერმანიისათვის, მაგრამ აღნიშნავს, რომ საიმპერიო მთავრობამ არ გაუწია წინააღმდეგობა შეთანხმებას, რადგან აუცილებელ საჭიროებათ სთვლიდა რაიმე ხელშეკრულების დადებას საოკუპაციო ოლქებში კრიზისის განვითარების შეჩერების მიზნით.

საჰაერო ხელშეკრულებები რურში.

რომი. 26 ნოემბ. გაზეთი „ეპოკა“ სწერს, რომ საფრანგეთმა მოახერხა რურის ნახშირისა და, აგრეთვე, რკინის მთელი ევროპიულ მრეწველობის ხელში ჩაგდება. **საფრანგეთმა მემკვიდრეობით მიიღო საბჭოთა კავშირის და გერმანიის მრეწველთა შორის არსებული ყველა საჰაერო ხელშეკრულებები და ამიტომ ახლო მომავალში მოსალოდნელია საჰაერო ხელშეკრულების დადება ს. ს. რ. კავშირსა და საფრანგეთს შორის.**

არეულობა უსურსათობის ნიადაგზე.

ბერლინი. 27 ნოემბ. გელზენკირხენში უსურსათობის ნიადაგზე მომხდარ არეულობის დროს მოკლულია 6 კაცი.

რურის დანარჩენ ქალაქებიდანაც იუწყებიან ასეთივე არეულობის შესახებ.

მთავრობა „მუშაობს“

რადიკალების დაპატიმრება.

ბერლინი. 27 ნოემბერი. ჰამბურგში დაპატიმრებულია მრავალი რადიკალი.

კომპარტიის გადასვლა არალეგალურ მდგომარეობაზე.

ბერლინი 27 ნოემბ. გენერალ ფონ-სექტის ბრძანების მიუხედავათ, გერმანიის კომუნისტურ პარტიის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა არ დაშალოს თავისი ორგანიზაციები და გადაიტანოს ცენტრალური ორგანო საზღვარგარეთ, რათა იქიდან არალეგალურად უხელმძღვანელოს პარტიას.

გერმანიის ემისია.

პარიზი 27 ნოემბერი. 10 ნოემბრისათვის გერმანიის ემისია უდრიდა 68 კვადრალიონ მარკას.

სექტი მოიგებს

პარიზი. 27 ნოემბერი. გაზ. „ტანის“ აზრით, დღევანდელი სამინისტრო კრიზისი დასრულდება გენერალ სექტის ავტორიტეტის გაზრდით.

მარკის კურსი

ბერლინი. 27 ნოემბერი. კურსი ორშაბათს უცვლელია. დოლარი დარს—4 190 მილიარდი მარკა.

საკონტროლო კომისია

დირექტივები.

ბერლინი. 27 ნოემბერი. ლონდონის „ობსერვერ“-ის დიპლომატიური კორესპონდენტი იუწყება, რომ სამშაბათს ბერლინში შეიკრიბება საერთაშორისო საკონტროლო კომისია. ინგლისის წარმომადგენელს კომისიაში დავალებული აქვს ლორდ კერზონისაგან დაუშალოს კონტროლის შემოღება გერმანიის იმ ნაწილებში, რომლებზედაც ბერლინის ავტორიტეტი არ ვრცელდება. ინგლისის მთავრობის აზრით შეუძლებელია მოეთხოვოს გერმანიას ის, რის ასრულება მას არ ძალუძს.

გერმანიის ამბების გამოძახილი

ბასაბები ოპტიმიზმი.

ბერლინი 27 ნოემბ. როგორც ბერლინის გაზეთები აღნიშნავენ, ბრიუსელის პრესა ოპტიმისტურად უცქერის შეთანხმებას რურის მრეწველებთან, ვინაიდან საფრანგეთმა და ბელგიამ უკვე მიიღეს რურიდან 988 მილ. მარკა ოქროთი: 900 მილიონი ნახშირზე გადასახადის სახით, 78 მილ. ფულის თანხების ხელში ჩაგდებით და 5 მილიონი ჩამორთმეულ ნახშირის და კოქსის განაღდებით. ამავე დროს ოკუპაციის ხარჯები უდრის 435 მილ. ოქრ. მარკას.

აკოფ აკოფიანის იუბილე

(1893—1923)

მოწოდება

მომავალ დეკემბერში სრულდება პროლეტარულ პოეტის აკოფ აკოფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობის ოცდაათი წელი. აკოფ აკოფიანის ლიტერატურული და საზოგადოებრივი ღირებულება, როგორც რევოლიუციის და კლასობრივი ბრძოლის პოეტ-მგოსნისა, ვერ დარჩებოდა უყურადღებოდ იმათ მიერ, რომელნიც წინ მიუძღვიან პროლეტარიატის იდეურ და პრაქტიკულ ცხოვრებას, აღრმავებენ მის კლასობრივ ცნობიერებას და შეგნებას.

ამ თვალსაზრისით რუსეთის კომუნისტური პარტიის ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტმა გადასწყვიტა მთელი კავკასიის ფარგლებში განსაკუთრებით პატივი სცეს საყვარელ მგოსნის დიდი ხნის ლიტერატურულ მოღვაწეობას. რომ მუშათა ვრცელ მასებისთვის ცხადი იყოს აკოფ აკოფიანის ლიტერატურული მნიშვნელობა, გადაწყვეტილია მგოსნის დამახასიათებელი მთელი რიგი ლექსები იქნეს გადათარგმნილი ადგილობრივ —ქართულ და თათრულ ენებზე, აგრეთვე რუსულ ენაზე.

ამასთან ერთად, რევოლიუციონურ მგოსნის ოცდაათი წლის ლიტერატურულ მოღვაწეობის სამარადისოთ განმტკიცების მიზნით საზეიმო დღის მომწყობი კომისიის მიერ ამიერკავკასიის სხვადასხვა ქალაქებში და აგრეთვე ტფილისშიც მოეწყობა განსაკუთრებული საღამო მგოსნის მოღვაწეობის აღსანიშნავად, მისი ლიტერატურული შემოქმედების შესაფასებლად.

დღესასწაულის მომწყობი კომისია აცხადებს ამის შესახებ და დარწმუნებულია, რომ მისი მოწოდება იპოვის ფართე გამოძახილს ყველა იმ წრეებში, რომელნიც აფასებენ პროლეტარულ კულტურას, მის წინამორბედ აკოფ აკოფიანის ლიტერატურულ მოღვაწეობის სამარადისოთ დამტკიცებას, რომელიც გაიმართება დეკემბრის 2-ს.

კომისია აკოფ აკოფიანის ბიოგრაფიულ და ლიტერატურულ მოღვაწეობაზე აქ არას ამბობს, რადგან ის ვინც დაინტერესებულია ამაში, დაწვრილებითი ცნობებს მონახავს იმ წიგნებში, რომელნიც გამოვლენ ამ მიზნით.

ამიტომ ცენტრალური კომისია მიმართავს საბჭოთა, პროფესიონალურ, საზოგადოებრივ და კულტურულ ყველა დაწესებულებებს, აგრეთვე აკოფ აკოფიანის ლიტერატურულ პიროვნების პატივისმცემელ მოქალაქეებს, რათა მათ მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ საზეიმო დღეში.

ცენტრალურ კომისიის
თავმჯდომარე ს. ხანოიანი.
მდივანი ს. ამბარცუმიანი.

წევრები:
ბუნიატ-ზადე
ელიავა შ.
მრავიანი ა.
ორახელაშვილი მ.
ხურხუტიანი
ტალიბლი
ხუმარიანი ა.

ინგლისი ახალი არჩევნების წინ

საარჩევნო კამპანია.

ბერლინი. 27 ნოემბერი. ლონდონიდან მიღებულ ცნობით, საბოლოოთ არჩეულია 50 კანდიდატი. მათ შორის 35 კონსერვატორია, 11 ლიბერალი, 3—მუშათა პარტიის წევრი და 1 ნაციონალისტი. არჩეულთა რიცხვში იმყოფება, სხვათა შორის, თემთა პალატის სპიკერი, უანტლეი, რომელიც უპარტიოთ ითვლებოდა და რომელიც ეხლა მიემხრო ლიბერალურ პარტიას. უანკლეი წინეთ, სპიკერათ მისი არჩევამდე, იმავე ლიბერალურ პარტიაში ირიცხებოდა. არჩეულია აგრეთვე ცნობილი ჟურნალისტი, „თემთა პალატის მამა“, ირლანდიის ნაციონალისტი ო'კონნორი. ბალდვინის წინააღმდეგ წამოყენებულია ლიბერალურ პარტიის კანდიდატი. მაგრამ ბალდვინის დარჩენა უზრუნველყოფილათ ითვლება, რადგან მან უკანასკნელ არჩევნებზე მიიღო ლიბერალების კანდიდატთან შედარებით 5.000-ით მეტი ხმის უმრავლესობა. ასკვიტს, ალბათ, სამი მოწინააღმდეგე ეყოლება: მუშათა პარტიის, კონსერვატორებისა და კოოპერატორების კანდიდატები. უკანასკნელ არჩევნებზე ასკვიტმა მიიღო 316 ხმით მეტი ვიდრე კოოპერატორთა კანდიდატმა, რომელიც მაშინ მისი ერთათ-ერთი მოწინააღმდეგე იყო.

რაში მდგომარეობს პროტექციონულ სისტემის აზრი.

ბერლინი. 27 ნოემბერი. მუშათა პარტიის ერთ ერთმა ლიდერმა, ტომასმა, განაცხადა, რომ ბალდვინი მიისწრაფის პროტექციონულ სისტემის შემოღებისაკენ არა უმუშევრობასთან ბრძოლის მიზნით, არამედ იმიტომ, რათა დაიცვას ინგლისი გერმანიის კონკურენციისაგან. აი, რით აიხსნება ბალდვინის განცხადება, რომ ის უარს იტყვის გერმანიისაგან რაიმე კონტრიბუციის მიღებაზე იმ შემთხვევაში, თუ გერმანია შესძლებს კონტრიბუციის გადახდას არა ფულით, არამედ მხოლოთ ნატურით.

მდგომარეობა საფრანგეთში

გამოირკვა, რომ საფრანგეთს ამჟამად იარაღს ქვეშ ჰყავს ექვსასი ათასი ჯარის-კაცი.

სოციალისტური გაზეთი „პოპულერი“ სწერს, რომ პროლეტარულ ფრონტის მთლიანობა შეიძლება მხოლოდ კომუნისტებთან შეთანხმებით.

პარიზში გაიმართა საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების დიდი მანიფესტაცია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10,000 კაცმა.

პუანკარესათვის ნდობის გამოცხადების ვოტუმს ხმა მისცეს სოციალისტებმა.

საფრანგეთის შეიარაღება.

პარიზი. 26 ნოემბ. „ჰიუმანიტე“-მ გამოაქვეყნა ერთი აკრძალული წერილი, რომელიც უნდა მოთავსებულიყო მუშათა სპორტიულ ფედერაციის ორგანოში. ამ წერილში აღნიშნულია საფრანგეთის ჯარში კიდევ ერთი ჰასაკის გაწვევის ფაქტი. წერილი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, **რომ საფრანგეთი ახალი ომის მოლოდინში ინახავს 600.000 ჯარისკაცს. გაზეთის აზრით, რურში ამჟამათ ნამდვილი ომი სწარმოებს.** საფრანგეთის ახალგაზრდა ჯარისკაცების წინაშე სდგას საკითხი: ან ქლიტონ გერმანიის მუშები ან შეუერთდენ და დაუძმობილდენ მათ.

ბრძოლა კომუნისტებთან.

პარიზი. 26 ნოემბ. გაზეთ „სავოის მუშის“ რედაქტორი მიცემულია პასუხისგებაში. მას ბრალათ ედება მოწოდება სამხედრო დისციპლინის დარღვევისაკენ.

ეს მოწოდება მოთავსებული იყო გაზეთში ბარბიუსის სიტყვის სახით, რომელიც წარმოთქმული იყო ანტიმილიტარისტების ყრილობაზე ბერლინში.

პუანკარეს მოხსენება საგარეო პოლიტიკის შესახებ.

პარიზი. 26 ნოემბ. პუანკარემ თავის საპარლამენტო მოხსენებაში საგარეო პოლიტიკის შესახებ განაცხადა, რომ ელჩთა კონფერენციაზე მიღწეულია შეთანხმება.

კაშენმა აღნიშნა საფრანგეთის მთავრობის პოლიტიკის ულოღიკობა, რადგან საფრანგეთი ცდილობს შეინარჩუნოს თანხმობა მოკავშირეებთან, მაგრამ იმავე დროს ხელში იგდებს რურს მათი სურვილის წინააღმდეგ.

უპასუხებს რა სოციალისტ ბლიუმს, რომელმაც განაცხადა, რომ პუანკარეს ბრძოლა ტარდიეს წინააღმდეგ საპარლამენტო რეჟიმის დარღვევას და პროფანაციას წარმოადგენს, კაშენი კმაყოფილებას გამოსთქვამს პარლამენტარიზმის პრესტიჟის დაცემის გამო და ამტკიცებს, რომ **პარლამენტარიზმი დაღუპვის გზას ადგია.**

520 ხმის უმრავლესობით 15-ის წინააღმდეგ პარლამენტმა მოიწონა საფრანგეთის პოზიცია ელჩთა კონფერენციაზე. მთავრობას **ნდობა გამოუცხადეს, აგრეთვე, სოციალისტებმა და რადიკალებმა.**

მოსამსახურეთა მანიფესტაცია.

პარიზი. 26 ნოემბერი. საზოგადოებრივ დაწესებულებათა მოსამსახურეების მიტინგი, რომელზედაც ისინი სიძვირის გამო მოითხოვდენ 1800 ფრანკის დამატებითი ჯამაგირს, დამთავრდა მანიფესტაციით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 10.000 კაცმა. პოლიციის ჩარევის მიუხედავათ მანიფესტანტებმა დაიარეს პარიზის ყველა დიდი ბულვარები.

რადიოს აღმოჩენის 25 წლის თავი.

პარიზი. 26 ნოემბერი. რადიოს აღმოჩენის 25 წლის თავის გამო საფრანგეთის სახალხო განათლების მინისტრმა შეიტანა პარლამენტში წინადადება რადიოს აღმომჩენის, კიურის ქალისათვის 40.000 ფრანკის ყოველწლიურ პენსიის დანიშვნის შესახებ.

საფრანგეთი და საბჭოთა კავშირი.

პარიზი. 26 ნოემბერი. მემარცხენე ბლოკის ორგანო „კოტიდიენ“-ი პროტესტს აცხადებს იმ დადგენილების წინააღმდეგ, რომლის ძალით საბჭოთა გემებს უფლება არ აქვთ შევიდენ საფრანგეთის ნავთსადგურებში გარდა გავრის, დიუნკირხენის და მარსელისა, და აღნიშნავს, რომ საბჭოთა მთავრობა უფლებას აძლევს საფრანგეთის გემებს ს. ს. რ. კავშირის ყველა ნავთსადგურებში შესვლაზე. გაზეთი ამ დადგენილების მოტივათ სთვლის საფრანგეთისა და რუსეთის მეზღვაურთა კონტაქტის შიშს.

საფრანგეთში სულ უფრო ძლიერდება ინტერესი რუსეთისადმი. პარიზის პრესა მეტათ დაინტერესებულია ს. ს. რ. კავშირის საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის წარმომადგენლის, ლექსისის პარიზში ყოფნით.

პროლეტარულ ფრონტის მთლიანობა.

პარიზი. 26 ნოემბერი. საფრანგეთის სოციალისტურ პარტიასთან ფროსარის ჯგუფის შეერთებისათვის გამართულ მოლაპარაკების გამო, პოლ ფორი სოციალისტურ გაზეთ „პოპიულერ“-ში სწერს, რომ **პროლეტარულ ფრონტის მთლიანობა შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ კომუნისტებთან შეთანხმების გზით;** მიუხედავათ ამისა გაზეთი მაინც განაგრძობს გააფთრებულ კამპანიას კომპარტიის წინააღმდეგ.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისი

ურთიერთობა რუსეთთან.

ლონდონი. 26 ნოემბ. „ვესტმინსტერ გაზეტტ“-ი იხილავს ბოკოზის მისიის ანგარიშს და სწერს, რომ კონსერვატორებს არაფერი არ გაუკეთებიათ იმისათვის, რომ გაეადვილებიათ ვაჭრობა რუსეთთან. რუსეთის ბაზრის დახურვა **უმთავრესი მიზეზია უმუშევრობის ზრდისა ინგლისში.** ლიბერალების პოლიტიკას მიზნათ აქვს სრული ურთიერთობის აღდგენა რუსეთთან.

„ფინანშიელ ტაიმს“-ი ხაზს უსვამს იმას, რომ საბჭოთა მთავრობა მზათ არის იცნოს, და აგრეთვე გადაიხადოს თავისი ვალები იმ შემთხვევაში, თუ მას მიეცემა კრედიტი. გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის ფინანსიური წრეები დიდ მნიშვნელობას აძლევენ ჩერვონეცის სიმტკიცეს და დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთთან შესაძლებელია ფართო საქმიანი დამოკიდებულების დამყარება.

ლიბერალების გამოჩენილი მეთაურები ასკვიტი და მასტერმენი საარჩევნო სიტყვებში აცხადებენ, რომ აუცილებელია საბჭოთა მთავრობის ცნობა და რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენა.

ნორვეგია

ვაჭრობა ნორვეგიასთან

მოსკოვი. 26 ნოემბ. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ნორვეგიაში ამხ. კოლონტაიმ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა, რომ რუსეთისა და ნორვეგიის სავაჭრო ბალანსი, რომელიც წინეთ ნორვეგიის სასარგებლოთ იხრებოდა, მიმდინარე წელში, ჩვენი პურის ნორვეგიაში გაზიდვის გამო, უფრო თანაბრათ ნაწილდება. ს. ს. რ. კ. წინაშე იხსნება ჩვენი პურისთვის ფართო ბაზრის მოპოვების შესაძლებლობა. ნორვეგიისათვის საჭიროა 300.000 ტონა ჭვავი და 100.000 ტონა დანარჩენი ხორბლეულობა. ნორვეგიაში არსებობს პურის მონოპოლია, რაც საშუალებას გვაძლევს ჩვენ მივყიდოთ პური მხოლოდ ნორვეგიის მთავრობას. ნორვეგიასთან დადებულ ხელშეკრულების თანახმად ჩვენი პურის გაყიდვის დროს 50 პროც. ჩვენ ვიღებთ ნაღდ ფულათ, 50 პროც. კი შეტანილი იქნება რვეგიის ბანკებში იმ ოპერაციების დასაფარავად, რომელთაც აწარმოებს ნორვეგიაში ს. ს. რ. კ. წარმომადგენლობა სხვადასხვა საქონლის შესყიდვის სახით. ასეთი მდგომარეობის გამო, ნორვეგია რუსეთში ყიდულობს ორჯერ მეტს, ვიდრე რუსეთი ყიდულობს ნორვეგიაში. მეორე მხრივ ხელშეკრულება დიდ უპირატესობას ანიჭებს ნორვეგიის მრეწველობას, რომლისთვისაც ს. ს. რ. კ. იხსნება ფართო ბაზარი თავის ნაწარმოებების გასასაღებლათ.

ავღანისტანი

ავღანისტანი და საკავშირო რესპუბლიკა.

მოსკოვი. 27 ნოემბ. საკავშირო რესპუბლიკის მილოცვის საპასუხოთ, ავღანისტანის ახალ სატახტო ქალაქის დაარსების გამო, ავღანისტანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამხ. ჩიჩერინს გამოუგზავნა დეპეშა, რომელშიაც ავღანისტანის მთავრობის სახელით მადლობას უძღვნის მეგობრული მილოცვისათვის.

სხვადასხვა

ამერიკა

ახალი თავშესაფარი იპოვეს

ნიუ-იორკი. 26 ნოემბერი ნიუ-იორკში ჩავიდენ ყოფილი თავადი ფელიქს იუსუპოვი ცოლით, და აგრეთვე ვრანგელის ცოლი, რომელთა მიზანია ანტი-საბჭოთა აგიტაციის გაწევა შეერთებულ შტატებში. მათ თან ჩაიტანეს გასასყიდათ ძვირფას ნივთების დიდი რაოდენობა; ამ ნივთებს საბაჟო უწყებამ კონფისკაცია უყო და ისინი ჩათვლილი იქნებიან გადასახდელ ბაჟის ანგარიშში.

იუსუპოვები მიღებულ იქნენ შეერთებულ შტატებში იმ დიპლომატიურ პასპორტის თანახმათ, რომელიც მიცემული ჰქონდათ მათ ყოფილ მეფის მთავრობის მიერ.

იაპონია

ისევ მიწისძვრა.

ტოკიო. 26 ნოემბერი. ტოკიოს ცენტრალური მეტეოროლოგიური ობსერვატორია უარყოფს ხმებს იმის შესახებ, თითქოს 24 ნოემ. მოსალოდნელი ყოფილიყო ძლიერი მიწისძვრა. მაგრამ 23 ნოემბერს ქალაქში ადგილი ჰქონდა ნიადაგის მეტათ ძლიერ რყევას, რამაც დიდი შიში გამოიწვია მცხოვრებლებში.

იაპონიის კომუნისტის სიკვდილი.

ტოკიო. 26 ნოემბერი. **ციხეში გარდაიცვალა იაპონიის მუშათა მოძრაობის ერთ-ერთი ენერგიული მოღვაწე კომუნისტი კავახაკი.**

საპატიო მიზეზით.

ბერლინი. 27 ნოემბ. უკანასკნელ წელს იაპონიაში დათხოვნილია 10.000 მუშა, ვაშინგტონის საზღვაო შეთანხმების გამო.

შეერთებული შტატები.

ყუმბარა.

ბერლინი. 27 ნოემბერი. ფილადელფიაში ესპანეთის საელჩოს შენობას ესროლეს ყუმბარა. შენობის ნაწილი დანგრეულია.

ბალკანეთი

სტამბულინსკის მიმდევრების პროცესი.

ბერლინი. 27 ნოემბ. სოფიაში დაიწყო სტამბულინსკის ყოფ. კაბინეტის წევრთა პროცესი. მათ ბრალად ედებათ სახელმწიფოებრივი ღალატი.

რესპუბლიკანური მოძრაობა საბერძნეთში

ბერლინი. 27 ნოემბ. კვირას ათინაში გაიმართა დიდი დემონსტრაცია რესპუბლიკის გამოცხადების სასარგებლოთ.

შუმანიევის მოკვლა.

ვენა. 26 ნოემბერი. ბულგარეთში უცნობმა ბოროტგამზრახველებმა მოკლეს ციხიდან განთავისუფლებული გლეხურ პარტიის მეთაური პოლკოვნიკი შუმანიევი.

პორტუგალია

პორტუგალიის კომპარტიაში.

პარიზი. 26 ნოემბერი. **ლისაბონში გაიხსნა პორტუგალიის კომუნისტური პარტიის დამფუძნებელი კონგრესი, რომელსაც დაესწრო 120 დელეგატი.** უმრავლესობა სასოფლო-სამეურნეო მუშებისა და მცირე-მამულიან გლეხების წარმომადგენლებია. კონგრესს მტკიცედ სწამს, რომ კომპარტიის გავლენა გაიზრდება და გაფართოვდება პროლეტარიატის შორის, რომელსაც გული გაუტყდა რეფორმისტებზე.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მოსკოვის საბჭოს ერთი წლის მოღვაწეობა.

მოსკოვი. 27 ნოემბ. სოკოლნიკის რაიონის მუშათა და გლეხთა კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე ამხ. ბოგუსლოვსკიმ მოხსენება გააკეთა მოსკოვის საბჭოს წარსული წლის მოღვაწეობის შესახებ. მიღებულ რეზოლიუციაში კონფერენცია აცხადებს, რომ მოსკოვის საბჭომ, როგორც პროლეტარიატის დიქტატურის ორგანომ, გაამართლა ყველა ის იმედები, რომელსაც ამყარებდენ მასზე ამრჩევლები, რეზოლიუცია იმედს გამოსთქვამს, რომ მოსკოვის მუშები საბჭოს სახით შექმნიან ორგანოს, რომელსაც მაღლა ეჭირა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების პირველ კავშირის, პირველი ქალაქის დროშა.

გერმანიის მუშების სასარგებლოთ.

სარატოვი. 27 ნოემბ. **სარატოვის რკინისგზის სახელოსნოების მუშებმა გერმანიის მუშების სასარგებლოთ შეაგროვეს 540 ფუთი პურის სესხის ობლიგაციებით, მეჭედავებმა კი შეაგროვეს მომგებიანი სესხის 94 ობლიგაცია.**

ბულგარეთის მეამბოხენი.

ოდესა. 27 ნოემ. ბულგარეთიდან ოდესაში ჩამოვიდა 55 ბულგარელი მეამბოხე, რომელთაც აქტიური მონაწილეობა მიიღეს ცანკოვის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩამოსულები ამტკიცებენ, რომ ბულგარეთის მთავრობამ მხოლოდ ვრანგელელების დახმარებით შესძლო აჯანყების ჩაქრობა. ვრანგელელები საჩქაროდ გადმოიყვანეს სტამბოლიდან. ისინი განსაკუთრებულ უდიერობას იჩენდნენ, ხვრეტდნენ მამაკაცებს, დედაკაცებს და ბავშვებს. აჯანყებულთა უდიდესი ნაწილი შეეხიზნა სამხრეთ-სლავიას, საბერძნეთს და ოსმალეთს. ოსმალეთისა და სამხრეთ სლავიის მთავრობებმა შეხიზნულები არ გასცეს, საბერძნეთის მთავრობამ კი სამარცხვინოთ გასცა ისინი.

გზათა უწყების ინჟინერთა ყრილობა

მოსკოვი. 27 ნოემბ. 26 ნოემბერს გაიხსნა ყოველწლიური ყრილობა გზათა უწყების ინჟინერებისა.

კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაციის აღმოჩენა

კიეველი ჯაშუშები.

კიევი, 26 ნოემბერი. **მთავარმა პოლიტიკურმა სამმართველომ აღმოაჩინა კიევში კონტრ-რევოლიუციონური ორგანიზაცია, რომელსაც სახელად ეწოდებოდა „მოქმედების კიევის საოლქო ცენტრი“. ეს იყო პარიზის ჯაშუშთა ცენტრის განყოფილება, რომელსაც ხელმძღვანელობდა ჩაიკოვსკი და კარტაშევი. დაპატიმრებულია ორგანიზაციის ყველა წევრები.**

დაპატიმრებულთა ჩვენება ააშკარავებს პარიზის ცენტრის საიდუმლო განზრახვებს, ფარდას ხდის აუარებელ მტაცებლობას; ირკვევა, რომ პარიზის ცენტრს კავშირი ჰქონდა შავრაზმულ ორგანიზაციებთან, ცენტრი ეწეოდა ჯაშუშობას ესერებთან ერთად, რომლებიც შეუთანხმდენ ცენტრს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეერთებულ ბრძოლაში. **კიევის ორგანიზაციამ მიზნათ დაისახა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა, კავშირი დაიჭირა უცხოეთის ჯაშუშთა ორგანიზაციებთან და დაიწყო აქტიური მოქმედება თავისი გეგმების განსახორციელებლად.** გამოძიების დროს მონაწილეების უმრავლესობა გამოტყდა და აღიარა ყველაფერი; **უმრავლესობამ აღიარა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ აქტიური ბრძოლის უნიადაგობა და შეუძლებლობა.** კიევის ცენტრი ყოველივე ძალღონით ცდილობდა დაესუსტებია საბჭოთა აპარატი შიგნიდან. გამოძიებიდან გამოირკვა, აგრეთვე, პოლიტიკური კომბინაციები პარიზის ცენტრის, რომელიც მიზნათ ისახავდა ახალ ინტერვენციას. კიევის ორგანიზაცია, სარგებლობდა რა რესპუბლიკანურ-დემოკრატიულ ლოზუნგით, ფაქტიურათ ეწეოდა ჯაშუშობას. კიევის სამხედრო ოლქის შტაბიდან გატაცებულ იქნა და გადაიცა უცხოეთის ერთ-ერთ სახელმწიფოს სამობილიზაციო დოკუმენტები, რომლებიდანაც აშკარავდება რესპუბლიკის სამხედრო საიდუმლოება. თავის საშუალებების გასაძლიერებლად ორგანიზაცია აწარმოებდა ყოველგვარ კომბინაციებს, რითაც იჩენდა დიდძალ ფულს. **კიევის მენშევიკები და ესერები ეხმარებოდენ ორგანიზაციას კონტრ-რევოლიუციონური ჟურნალის „ნოვ“-ის გავრცელებაში.**

ახლო მომავალში ეს საქმე გაირჩევა სასამართლოში ღია სხდომებზე.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

კომ. ახალგ. კავშირის წლის თავი.

ახალსენაკი. 26 ნოემბ. 20 ნოემბერს კომ. ახალგ. კავშირის ადგილობრივმა ორგანიზაციამ იდღესასწაულა კ. ახ. კავშ. არსებობის მე-6 წლის თავი. დღისით ქალაქის თეატრში გაიმართა უფროს კლასების მოწაფეთა მიტინგი. საღამოთი იმავე თეატრში მოეწყო საიუბილეო დღესასწაული, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების მონაწილეობით. თეატრი ვერ იტევდა ყველა მსურველებს. სიტყვა წარმოსთქვა დღესასწაულის მნიშვნელობის შესახებ სამაზრო კომიტეტის პასუხისმგებელმა მდივანმა.

აფხაზეთი.

განათლების მუშაკთა კავშირში.

სოხუმი. 26 ნოემბერი. განათლების მუშაკთა კავშირში გაძლიერებული საორგანიზაციო მუშაობა სწარმოებს. ბიბლიოთეკის მუშაკთა მოსამზადებლად დაარსდა საბიბლიოთეკო საბჭო. ეწყობა ქართველ მასწავლებელთა პედაგოგიური სექცია, სამხატვრო სტუდია, მარქსისტული სექცია და სხვ.

თამბაქო ლონდონში.

სოხუმი. 26 ნოემბერი. ცენტრკავშირის აფხაზეთის კანტორამ ლონდონში გაგზავნა 4500 ფუთი უმაღლესი ხარისხის თამბაქო.

აჭარა.

ნავთსადგურში.

ბათომი. 26 ნოემბერი. ბათომიდან გავიდა ბელგიის გემი „მაზუტს“ და თან წაიღო 40,000 ფუთი ნავთი. ინგლისურმა გემმა „ედენა“ მ.1000 ფ სიმინდი წაიღო პირეიში.

სახალხო სკოლებში.

ბათომი. 26 ნოემბერი. აჭარის სახალხო სკოლებში პატარა ქალების მოსაზიდათ, განათლების სახალხო კომისარიატმა წინადადება შეიტანა, რათა სკოლებში დაარსებულ იქნას ხელსაქმის მასწავლებელ ქალთა თანამდებობა.

ბათომი. 26 ნოემბერი. განათლების სახალხო კომისარიატმა სლაბოდა ხოლოდნოიში გახსნა ახალი სკოლა საკუთრივ მუსულმანებისათვის.

სომხეთი

ქარგვის სახელოსნო.

ერევანი. 26 ნოემბერი. ამ ახლო მომავალში, ცნობილი მხატვარი—მქარგავი კაჩუნი, განათლების კომისარიატის დახმარებით, ერევანში აარსებს თავის სახელოსნოს. მოლაპარაკება სწარმოებს, რომ კაჩუნიმ მოაწყოს თავისი ხელმძღვანელობით სახელოსნო 30 მოწაფისათვის. კაჩუნიმ მონაწილეობა მიიღო სრულიად საკავშირო გამოფენაზე, სადაც გამოჰფინა თავისი ხელით ნაქარგი პორტრეტები ამხ. ლენინისა და ტროცკისა. ამხ. ლენინის პორტრეტი 1000 ჩერვონ. მანეთად შეიძინა რუსეთ-ბუხარის საქსოვმა ქარხანამ, მეორე პორტრეტი კაჩუნიმ უსახსოვრა ამხ. ტროცკის.

ქალაქის საბჭოს ხელახალი არჩევნები.

ერევანი. 26 ნოემბერი. ერევნის ქალაქის საბჭოს ხელახალი არჩევნები დასრულდა. ყველგან მიიღეს კომფრაქციის მიერ წამოყენებული რეზოლიუციები და გაიყვანეს კომპარტიის მიერ დასახელებულ კანდიდატთა სიები.

მილიციის დღე.

ერევანი. 26 ნოემბერი. 15 ნოემბერს გაიმართება მილიციის დღესასწაული. სწარმოებს წინასწარი სამზადისი ამ დღესასწაულისათვის.

სახელმწიფო კინო.

ერევანი. 26 ნოემბერი. მოხდა სომხეთის სახელმწიფო კინოს სააქციონერო საზოგადოების დამაარსებელთა კრება.

კრებას დაესწრნენ განმანათლებელ და სამეურნეო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. მოისმინეს მოხსენება უკვე წარმოებულ მუშაობისა და მომავალი სამოქმედო გეგმის შესახებ. მომავალში განზრახულია სომხური პიესებისა და ოპერა „ანუშ“-ის გადაღება, აგრეთვე გადაიღებენ სურათებს—„სამოქალაქო ომის მომგერიებელნი“. განზრახვა აქვთ სომხეთის ყველა კინემატოგრაფები მოამარაგონ ლენტებით, გააფართოვონ კინემატოგრაფის ქსელი, ახალი კინემატოგრაფი მოაწყონ „სტეპანოვან“-ში (ჯელალ-ოღლი), კარაკლისსა, ეჩმიაძინსა და სხვაგან.

პროლეტარულ სტუდენტობის კვირეულისათვის

კომპარტიის ყველა წევრებსა და კანდიდატებს

ცირკულიარულად

პროლეტარულ სტუდენტობის მუშფაკოველების და უმაღლეს სასწავლებლების კლასიურ მიღების სტუდენტების მძიმე მატერიალური მდგომარეობა მოითხოვენ გადამჭრელ და ენერგიულ ზომების მიღებას სათანადო მატერიალურ პირობების შესაქმნელათ, რომელნიც საშუალებას მისცემენ პროლეტარულ სტუდენტობას პირნათლად შეასრულონ მათზე დაკისრებული მეცნიერების დაძლევისა და უმაღლეს სკოლის დაპყრობის მძიმე ამოცანები. არსებობის აუტანელი პირობები, ბინისა, სინათლისა, წყლისა, ტანისამოსისა, სახელმძღვანელო წიგნებისა და სხვათა უქონლობა —ყველაფერი ეს გვაიძულებს ჩვენ სერიოზული ყურადღება მივაპყროთ პროლეტარულ სტუდენტობის მდგომარეობას.

ამ მიზნისათვის საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტმა გამოყო სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან შემდგარი ცენტრალური კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს მოაწყოს და გაატაროს უახლოეს დღეებში „პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეული“. აღნიშნულ კომისიის მუშაობის წარმატება სავსებით დამოკიდებულია ჩვენი პარტიულ, პროფესიონალურ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების თანაგრძნობასა და აქტიურ დახმარებისაგან.

ზემოაღნიშნულის გამო, საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს საქართველოს კომპარტიის ყველა წევრებს, რომელნიც მეთაურობენ ამა თუ იმ სამეურნეო და საბჭოთა ორგანოებს, ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ კომისიას როგორც საშუალებებით, ისე ხელის შეწყობითაც, რომ წარმატებით იქნეს ჩატარებული პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეული.

ეს ცირკულიარი წაკითხულ იქნეს საქართველოს კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ყველა უჯრედებში.

ტფილისის კომიტეტის მდივანი რუბენი.

მოწოდება

პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების ცენტრალური კომისიისა

ამხანაგებო და მოქალაქენო! ოქტომბრის რევოლიუციამ ფართოდ გაუღო კარები მეცნიერებას და გახადა ის ხელმისაწვდომი მუშათა მასებისათვის.

მუშები დაზგებიდან, რომლებიც უზრუნველყოფენ მატერიალურად მათ არსებობას, მასიურად მოაწყდენ სკოლებს. მუშათა ფაკულტეტები აივსო მუშებით. ას ადგილზე ათასი კანდიდატია. შეუძლებელია ყველა იმათი დაკმაყოფილება, რომლებიც დაინტერესებული არიან სწავლით; ქალაქთან ერთად სოფელიც გზავნის ახალგაზრდობას ქალაქში სწავლის მისაღებათ.

ჩვენი მუშათა ფაკულტეტების მსმენელები, თუ ისინი მუშაობენ წარმოებებში, ერთი საათითაც ადრე ვერ თავისუფლდებიან სამუშაოსაგან, არ სარგებლობენ არავითარი პრივილეგიებით, მაგრამ განთავისუფლებისთანავე ისინი მიეჩქარებიან მუშ. ფაკულტეტში, სადაც მეცადინეობა გრძელდება 9 საათამდე. შემდეგ საჭიროა გაკვეთილების მომზადება სახლში, ხოლო დილით კვლავ სამუშაოზე წასვლა. ხშირად მუშებს მუშათა ფაკულტეტამდე აქვთ ერთი საათის სავალი გზა და სახლში ვერ ბრუნდებიან 10 საათამდე. მათ არა აქვთ დრო ძილისათვის, სწავლისათვის, არა აქვთ დრო დასასვენებლათ, მაგრამ იმზომ ძლიერია სწავლის წყურვილი, რომ ამ გაჭირვებას ისინი უძლებენ სიამოვნებით და ენტუზიაზმით.

მაგრამ ეს წარმოებებში მომუშავე მუშები ბედნიერები არიან სტიპენდიანტებთან და უმუშევრებთან შედარებით, რომელთა რიცხვი საკმაოდ დიდია. სტიპენდიანტები ღებულობენ ფაქტიურად 5—7 საქონლის მანეთს და ამასაც არა თავის დროზე. ამ ფულით უნდა იცხოვრონ, ჩაიცვან ტანზე, იყიდონ წიგნები, გადაიხადონ ბინის ქირა (თუ ოთახი აქვთ), სინათლის, წყლის ფული და სხვა.

ამ სახელმწიფო სტიპენდიანტების ჯგუფის მდგომარეობა კიდევ არ არის ისე მწვავე, როგორიც უმუშევრების. უმუშევრებს არ აქვთ არც ეს უმნიშვნელო სტიპენდიაც, მათ არ აქვთ თავისი კუთხე, მაგრამ ისინი მაინც განაგრძობენ სწავლას და იბრძვიან ამისათვის და იმედი აქვთ, რომ გადალახავენ ყველა დაბრკოლებებს თავიანთი მიზნების განსახორციელებლათ.

ეს მუშათა ფაკულტეტის მსმენელთა შესახებ.

წელს უმაღლეს სასწავლებელში ჩვენ ვატარებთ კლასობრივ მიღებას და მივიღეთ უნივერსიტეტში და პოლიტეხნიკუმში 1800 კაცი.

მათი უმრავლესობა იმყოფება აუტანელ პირობებში. მათ არ აქვთ რაიმე შემოსავალი, უმნიშვნელო სტიპენდია; თუ რომელიმეს აქვს, არ აკმაყოფილებს აუცილებელ მოთხოვნილებასაც. სტუდენტებს სძინავთ ქუჩებში, სასადილოებში, თავს აფარებენ ნაცნობებთან და ეწევიან ისეთ ცხოვრებას, რომელიც მათ დაღუპვისაკენ მიაქანებს.

ნუ თუ არ შეგვიძლია დახმარება გაუწიოთ საბჭოთა სახელმწიფოსათვის ასეთ ძვირფას ახალგაზრდობას.

აქ დასმულია საკითხი არა ქველმოქმედების, არამედ წითელ სპეცების საკუთარი კადრის შექმნის აუცილებლობის.

ამის შესახებ ბევრს ვლაპარაკობთ, მხოლოთ საქმით კი ძლიერ ცოტა კეთდება.

პროლეტარული სტუდენტობის დახმარების კვირეულის მომწყობმა ცენტრალურმა კომისიამ მიზნათ დაისახა შემდეგი:

1. იშოვოს ორი ან სამი სახლი სტუდენტთა საერთო-საცხოვრებლის მოსაწყობათ.
2. მოაწყოს სტუდენტების სასადილო.
3. მოაწყოს საექიმო დახმარება.
4. დაარსოს სტუდენტების კოოპერატივი და წინადადება მისცეს არსებულ კოოპერატივებს გაუხსნან მას კრედიტი.
5. შექმნას ფონდი სახელმძღვანელოების, ტანთსაცმელების, ფეხსაცმელების და სხვ. შესაძენათ.
6. შესძლოს სახელმწიფო სტიპენდიების თავის დროზე დარიგების მოწყობა, გაადიდოს სტიპენდიების რაოდენობა, წინადადება მისცეს სამეურნეო ორგანოებს [illegible] ნომია და აკისრონ თავის [illegible] სტიპენდიების განსაზღვრული რაოდენობის გაღება.
7. სტუდენტებისთვის მოეწყოს სამუშაოს მოსაძებნი ბიურო, მათი ურთიერთ-დახმარების კასები.

აი, ის ძირითადი ამოცანები, რომლებიც დასახული აქვს ცენტრალურ კომისიას და ის იმედოვნებს, რომ საბჭოთა ხელისუფლების, სამეურნეო ორგანოების და მშრომელთა ენერგიული დახმარებით ის შესძლებს ამოცანების განხორციელებას.

აუცილებელი ფონდის შესაქმნელათ დახმარების კვირეულის განმავლობაში მოეწყობა მთელი რიგი საღამოების, წარმოდგენების, კონცერტების. ყველა გაზეთები უშვებენ ცალკე ნომრებს, რომელთა საერთო შემოსავალი სავსებით მოხმარდება დახმარების ფონდს.

ამხანაგებო და მოქალაქენო! პროლეტარული სტუდენტობის დახმარების ცენტრალური კომისია მოუწოდებს ყველას, ვისთვისაც ძვირფასია საბჭოთა ხელისუფლება, გაუწიონ ყოველივე დახმარება და აქტიურად ხელი შეუწყონ ამ კამპანიის ჩატარებას.

ჩვენი ახალგაზრდა პროლეტარული სტუდენტობისათვის სამოსწავლო წლების უზრუნველყოფით ჩვენ უზრუნველვყოფთ ჩვენთვის წითელ სპეცების სათანადო კადრის შექმნას, რაც განამტკიცებს ჩვენს მიღწევებს და მონაპოვარს!

პროლეტარული სტუდენტობის დახმარების ცენტრალური კომისია.

მიმართვა სამეურნეო ორგანოებისადმი

პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეულის გამტარებელი ცენტრალური კომისია მიმართავს თხოვნით ყველა სამეურნეო წარმოებებს—ტრესტებს, სინდიკატებს, ბანკებს და სხვა სახელმწიფო სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებს და კერძო ფირმებს მოათავსონ განცხადებები „ზარია ვოსტოკა“-ს სპეციალურ ნომერში, რომელიც გამოვა ორშაბათს 3 დეკემბერს.

გაზეთისა და განცხადებებისაგან შემოსული მთელი შემოსავალი გადაცემული იქნება პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების ფონდში.

ცენტრალური კომისია.

პროგრამა საღამოებისა, რომელნიც მოეწყობიან პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეულის განმავლობაში

ოთხშაბათს, 28 ნოემბერს იწყება პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების კვირეული!

ოთხშაბათს, 28 ნოემბერს: წარმოდგენა სახალხო სახლში—„ნიკოლოზ 1-ლი“.

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს: კინო-პალასი; „სტამბოლის მათხოვარა“ კინო-„მინიონი“—„ანნა ბოლეინ“.

პარასკევს, 30 ნოემბერს: რუსთველის თეატრი:—თურქული დრამა.

ორშაბათს, 3 დეკემბერს: კინო-სეანსები კინო თეატრებში: „აპოლო“ „არფასტო“ და „სოლეი“.

სამშაბათს, 4 დეკემბერს: რუსთველის თეატრი:—პრემიერა „ადამიანი—მასსა“—ტოლლერის.

პარასკევს, 7 დეკემბერს: სახელმწიფო ოპერა—პრემიერა „თავადი იგორი“.

მთელი შემოსავალი ამ წარმოდგენებიდან, კინო სეანსებიდან და სხვა გადაცემული იქნება პროლეტარულ სტუდენტობის დახმარების ფონდში.

აზერბეიჯანის საბჭოთა მესამე ყრილობა

ყრილობის გახსნა

ბაქო 26 ნოემბერი. 25 ნოემბერს გაიხსნა საზეიმოთ მორთულ დარბაზში აზერბეიჯანის საბჭოთა მესამე ყრილობა. მუშები ჭვარტლიან და მტვერიან ქარხნებიდან და შავ სამრეწველოებიდან, გლეხები აზერბეიჯანის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკის ყველა კუთხეებიდან მოგროვდენ წითელ ბაქოსთან, რათა გამოეთქვათ ხელისუფლების სათავეში მდგომ მუშების და გლეხების სურვილი, რათა შეემოწმებიათ და ჯამი გაეკეთებიათ გაწეულ მუშაობისათვის და შეემუშავებიათ შემდეგი მუშაობის გეგმა. სახელმწიფო პატარა თეატრის პარტერი, ქანდარა და ლოჟები სავსეა ყრილობის დელეგატებით და სტუმრებით, დელეგატებს შორის არიან მუსულმანი ქალები. ყრილობა გაიხსნა ინტერნაციონალით და ხმების—„იაშასუნ“-ის ძახილით. თურქულ ენაზე შესავალ სიტყვას ამბობს აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. კასუმოვი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარის ამხ. ბაგიროვის სიტყვა.

რუსულ ენაზე სიტყვას ამბობს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ბაგიროვი. თავის სიტყვაში ბაგიროვი ჯამს უკეთებს მეორედან მესამე ყრილობამდე გაწეულ მუშაობას და ხაზს უსვამს საბჭოთა ხელისუფლების დიდ აღმშენებლობით მუშაობას.

„თუ წინანდელ ყრილობებზე, აღნიშნა ამხ. ბაგიროვმა, დღის წესრიგში იყო დასმული ორგანიზაციული და პოლიტიკური ხასიათის საკითხები, ეხლანდელმა ყრილობამ განსახილველად და გადასაჭრელად წამოაყენა კულტურული და სამეურნეო ხასიათის საკითხები“. ამხ. ბაგიროვის სიტყვის შემდეგ ყრილობა გადადის პრეზიდიუმის არჩევნებზე.

პრეზიდიუმი.

კომფრაქცია შემოაქვს პრეზიდიუმის წევრთა სია, რომელსაც ყრილობა ერთხმად ამტკიცებს.

პრეზიდიუმში არჩეული არიან შემდეგი ამხანაგები: აგამალი ოღლი, კიროვი, მუსაბეგოვი, ალი კარაევი, ბაგიროვი, ხანბუდაგოვი, მირზოიანი, კასუმოვი, კულიევი, კონუშკინი, ბუნიატ-ზადე, გუსეინოვი, ეფენდიევი, კრანოიარკი, ჯაბიევი, რუმიანცევი, პლეშკოვი, კარაკოზოვი, ალი მამედოვი, მამედხანოვი, ისკანდეროვი, ასად კარაევი, გრიგორიანი და რასულოვა (ქალებისაგან); არმიისა და ფლოტისაგან: პოშემანსკი, გაჯიევი, მაცევიჩი, კოზმინსკი და რზაევი. პრეზიდიუმის საპატიო წევრებათ არჩეული არიან ამხ. ლენინი, ტროცკი, სტალინი, ორჯონიკიძე, კლარა ცეტკინი, ორახელაშვილი, მიასნიკოვი და კალინინი.

მისალმება „მოხუცებს“.

ლენინის სახელის სსენებამ გამოიწვია მთელი ყრილობის მქუხარე ტაში და ოვაციები. ყრილობამ დაადგინა გაუგზავნოს ამხ. ლენინს მისასალმებელი დეპეშა ჩქარი გამომრთელების სურვილით.

მოიგონა ყრილობამ მეორე ავადმყოფი „მოხუცი“, აზერბეიჯანის ცაკის თავმჯდომარე ამხ. აგამალი-ოღლი, რომელიც მძიმე ქირურგიულ ოპერაციის შემდეგ, ყრილობაზე ვერ გამოცხადდა, მაგრამ მიესალმა მას განსაკუთრებული ბარათით.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა.

ამიერ-კავკასიის გასაბჭოების შესახებ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. მამია ორახელაშვილმა, რომელმაც ხაზი გაუსვა იმ მშვიდობიანობას, რომელიც დამყარდა ამიერკავკასიის ხალხთა შორის საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და იმ სიძლიერეს, რომელიც მათ მოიპოვეს მტრულად განწყობილ ბურჟუაზიულ მსოფლიოს წინაშე. თუ დღეს, ევროპაში ომის სუნი ტრიალებს ჩვენში, პირიქით, მთელი ჩვენი აზრები მიმართულია მშვიდობიანი შრომისაკენ და კულტურულ მეურნეობის აყვავებისაკენ.

ჩვენ მშვიდობიანობის მომხრენი ვართ, მაგრამ თუ საჭირო იქნება, მოვგლეჯავთ გვირგვინებს ყველა გვირგვინოსნებს, მეფეებს და მათ დამქაშებს რევოლიუციისაკენ აღებული ჩვენი გზა, კერძოთ აზერბეიჯანში სწორი აღმოჩნდა. ჩვენ უკვე მოვიპოვეთ არსებობის უფლება და ბრწყინვალე ჩირაღდნით უნათებთ გზას მთელი მსოფლიოს ჩაგრულებს.

თავისი სიტყვა ამხ. ორახელაშვილმა დაამთავრა შემდეგი სიტყვებით: „აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობა არის ახალი ეტაპი საუკუნოებით განმტკიცებულ უკულტურობასა და ჩამორჩენილობასთან ბრძოლაში.

ამხ. ორახელაშვილის სიტყვა გადათარგმნილი იქნა თათრულ ენაზე ამხ. კულიევის მიერ.

მთის ყარაბაღის მისალმება.

ამხანაგ მ. ორახელაშვილის სიტყვის საუკეთესო დასურათებას წარმოადგენდა ამხანაგ კარაკოზოვის მისალმება ავტონომიურ ოლქის მთის ყარაბახის გლეხობის და დამფუძნებელ ყრილობის სახელით.

ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა და წითელი დროშა გაუგზავნოს მთის ყარაბახის გლეხობას აზერბეიჯანის მშრომელთა სახელით.

მისასალმებელი დეპეშები.

შემდეგ გამოქვეყნებული იქნა ყრილობის სახელზე მიღებული მისასალმებელი დეპეშები, მათ შორის კავკასიის წითელდროშოვან არმიის დე-

დეპეშა. მოისმინა რა დეპეშები, ყრილობამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშები გაეგზავნოს ილიჩს, რუსეთის კომპარტიას, კომინტერნს, საბჭოთა კავშირის ცაკს, სახალხო კომისართა საბჭოს, ამიერკავკასიის ცაკს, ამიერკავკასიის სახ. კომისართა საბჭოს, რ. კ. პარტიის ამიერკავკასიის სოლქო კომიტეტს და გერმანიის პროლეტარიატს, რომელიც ამჟამად აწარმოებს გაცხარებულ ბრძოლას მუშურ გლეხური დიქტატურის დასამყარებლად.

პროტესტი ამხ. ვოროვსკის მკვლელთა გამართლების წინააღმდეგ.

მაზრების დელეგატების წინადადებით, ყრილობამ მიიღო საპროტესტო რეზოლიუცია ბურჟუაზიის სასამართლოს მიერ ამხ. ვოროვსკის მკვლელთა გამართლების წინააღმდეგ. ამხ. ვოროვსკის ხსოვნას ყრილობამ ფეხზე ადგომით სცა პატივი.

პარტიული ცხოვრება

ს. ქ. პ. ტფ. ორგ. მეოთხე რაიკომი იწვევს
ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, 6½ საათზე

ქალ. აღმასკომის დარბაზში გაერთიანებულ კრებას მეოთხე რაიონის წარმოებათა და დაწესებულებათა შეფების კომისიებისას იაჩეიკების მდივნებთან ერთად.

შეფების კომისიებს წინადადება ეძლევათ, მოამზადონ წერილობითი ანგარიში ნამუშევრისა და მომავალი მუშაობის გეგმის შესახებ.

იაჩეიკების მდივნების პასუხისმგებლობის ქვეშ ყველა ამხანაგებისათვის სავალდებულოა დასწრება ამ კრებაზე.

პასუხისმგ. მდ. ხაცკევიჩი.

ქ. პ. ტფ. მ. ორგ. მეოთხე რაიკომის ქალთა განყოფილება აცხადებს, **რომ ხუთშაბათს,** 29 **ნოემბერს** 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს პატარ დარბაზში მოწვეულია მეოთხე რაიონის ქალთა დელეგატების კრება. სავალდებულოა ყველას დასწრება.

პასუხისმგებელი მდივანი ხაცკევიჩი.
ქალ. განყ. გამგე პეწიაკოვა.

ქუთაისის საზპარტკომის ქალთა განყოფილების ოქტომბრის თვის მუშაობის ინფორმაციული ანგარიში

საანგარიშო თვეში ქუთაისის მაზრკომის ქალთა განყოფილების შტატი შესდგება განყოფილების გამგის ქ. მიქაძის და ორი ინსტრუქტორის ვ. ჭუბაბრიას და თ. საჯაიასაგან. განყოფილებასთან არსებობს აგრეთვე კოლეგია, რომელშიაც, გარდა განყოფილების თანამშრომლებისა, შედიან საორგან. განყ. გამგე, საგ.-საპროპაგანდო განყ. გამგე და ახ. კომკავშირის მაზრკომის წარმომადგენელი.

ქალთა განყოფილების მიერ საანგარიშო თვეში მოწვეული იქნა ქალთა შორის მომუშავე რაიორგანიზატორების თათბირი, რომელზედაც შემუშავებულ იქნა უახლოესი სამი თვის მუშაობის გეგმა რაიონებში. თვით ქალ. ქუთაისში და სარაიონო ცენტრებში ვიწვევდით უპარტიო ქალთა საერთო კრებებს, რომლებზედაც გაკეთდა მოხსენებები გერმანიის ამბებზე, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, სახელმწიფო მოგებიან სესხზე, ჰიგიენაზე, ოქტომბრის რევოლიუციის 6 წლის თავზე და სხვა. რაც შეეხება თემებს, იქ ადგილობრივი ძალების უქონლობის გამო, ქალთა განსაკუთრებული კრებები არ იწვევა და ქალები მონაწილეობენ თემის საერთო კრებებზე. დელეგატთა კრებები მოწყობილია ქ. ქუთაისში, სამტრედიაში და ხონში. მთელ მაზრაში 127 დელეგატი ქალია, რომელთაგან ქუთაისში—47, სამტრედიაში—50, ხონში—30, შემადგენლობა შემდეგია: დიასახლისები—65, ქარხნების და რკინის გზის მუშა-ქალები—37, სხვადასხვა საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლები—25; დელეგატთა რიცხვიდან კომუნისტები—4, დანარჩენი უპარტიოები; ადგილკომებში მუშაობს 4 დელეგატი ქალი. დელეგატთა კრებებზე მეცადინეობა მიმდინარეობს ცეკას ქალთა განყოფილებიდან მიღებულ პროგრამით.

ქ. ქუთაისში მსურველ 30 ქალთა შორის სწარმოებს სისტემატიური პოლიტიკური მეცადინეობა კვირაში ერთხელ. არსებობს მომღერალ ქალთა გუნდი; დაარსებულია სამკერვალო არტელი, მოწყობილია ქალთა თავშესაფარი, რომლითაც სარგებლობენ თემებიდან სხვადასხვა საჭიროებისათვის ჩამოსული მშრომელი ქალები. ქალთა განყოფილებამ სააგიტაციო მიზნით გაათევია თავშესაფარში ღამე გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების ყრილობის დელეგატებს. სწარმოებს ქალთა უფლების დაცვა სათანადო ორგანოების საშუალებით. განზრახულია ქალთა თავშესაფარის მოწყობა სამტრედიაში.

კულტურულ-განმანათლებელ მუშაობას ქალთა განყოფილება აწარმოებს პოლიტგანათ. განყ. ერთად და პროფბიუროს კულტგანყოფილებასთან, რაც გამოიხატება მუშა-ქალების მიზიდვაში წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლების მეცადინეობაზე და პროფკურსებზე მსმენელებათ ჩარიცხვაში, ქალები იზიდებიან აგრეთვე სამკითხველოებში, სადაც უმრავლესად ქალებია გამგეებათ და ისინი აკავშირებენ მათ ქალთა განყოფილებასთან. ქალებს ვიწვევთ აგრეთვე კომუჯრედების ღია სხდომებზე და პოლიტწრეების მეცადინეობაზე. ყველა კამპანიებში, რომლებსაც პარტია ატარებს, მონაწილეობას იღებენ ქალებიც.

სამრეწველო დარგებში და დაწესებულებებში—რკინის გზა, საავადმყოფო, სადაც საგრძნობ რიცხვს შეადგენენ ქალები, ყველგან გამოყოფილია ორგანიზატორები და პროფორგანიზაციებთან ერთად ქალთა განყ. აწარმოებს მათ შორის განსაკუთრებულ მუშაობას. ყველა ადკომებშიც არიან ქალები.

რაიონებში მუშაობის გასაფართოვებლათ საჭიროა ჯამაგირიანი ორგანიზატორები ხონში და სამტრედიაში. მათი ანკეტები უკვე გადაგზავნილია ცეკას ქალთა განყოფილებაში დასამტკიცებლად.

ქალთა განყოფილების მიერ გავრცელებულ იქნა მოწოდება გერმანიის პროლეტარიატის დახმარებაზე, რომელსაც აღტაცებით ხვდება მშრომელი მასა.

ქალთა განყოფილების გამგე
ქ. მიქაძე.

წითელი არმიის მანევრები

(დასასრული. იხ. „კომუნისტი“ № 273)

კავალერისტებთან.

შტაბში მეტი საქმე მე აღარ მაქვს. ვჯდები ცხენზე და „ორდინარეცის“ თანხლებით მივდივარ სოფელ ტ-ში., სადაც დაბანაკებულია კავალერისტების ერთი დიდი ნაწილი.

ვეშვები დაღმართზე, ვხედავ გამოთხრილ მიწაში „კაშევარებს“—მზარეულებს.

გზაზე გავყვებით ტელეფონის მავთული მორიგ ნაწილთან და სადარაჯო პუნქტთან.

აი, აგერ კავალერისტების შტაბიც.

ხეების ფოთლებში ბრჭყვიალებს წითელი ნიშანი—პატარა დროშა ლურჯი ვარსკვლავით.

მდიდრულად მორთულ სახლის დიდ ოთახში გაშლილ რუქებს დასცქერიან შტაბის უფროსი, ოპერატიული ნაწილის უფროსი, მზვერავთა რაზმის უფროსი.

ჩემ შესვლაზე, როგორც ეს მოსალოდნელიც იყო, საუბარი სწყდება.

— საიდან? რისთვის?

ვაძლევ განმარტებას.

— ეს დოკუმენტები ჩვენთვის საკმარისი არ არის—ეხლავე შევეკითხებით შტაბს.

მე „სამხედრო ტყვედ“ ვარ გამოცხადებული. ვიცდი შესავალში.

— შტაბია? ვინ არის ტელეფონთან?—მესმის მეზობელ ოთახიდან.

— მართლა თქვენგან არის გამოგზავნილი გაზეთების კორესპონდენტი? პაუზა.—ჰაა! როგორი ცნობები შეიძლება მივსცეთ მას...

პასუხი, როგორც სჩანს, სასურველი მიიღეს, რადგან ერთი წუთის შემდეგ შტაბი კეთილგანწყობილებით შეპყრობა მე.

ასეთმა სიფრთხილემ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე.

— უკაცრავად, რა გვარი ბრძანდებით თქვენ, ვეკითხები სამაგალითო უფროსს!

— პროსტოსინსკი. სხვაგვარად არ შეიძლება. ხედავთ ჯანჯარაში ჰაეროპლანები დაფრინავენ,—ისინი ჩვენ გვათვალიერებენ.

მართლაც შორიდან ისმის მატორის გუგუნი—ჯერ ერთი ჰაეროპლანი მოსჩანს, შემდეგ მეორე.

მაძლევენ ნებართვას კავალერიის ადგილმდებარეობის რაიონში წასასვლელად და მე გავუდექი გზას.

გზაში ვხვდები მოფარებულად მდგომ სამორიგეო ნაწილს—ცხენები უნაგირებითაა, კიდევ ქვევით—მორიგ ტყვიის-მფრქვეველებს.

მახლობელ ქოხში, აგრეთვე რუქების გარშემო ვხედავ ჯგუფს: ესკადრონის კომანდირს, პოლიტიკურ ხელმძღვანელს და ესკადრონის უმცროსს საკომანდო შემადგენლობას. სინჯავენ რუქას.

— რად გინდათ თქვენ ეს?—ვაძლევ მე პროვოკაციულ კითხვას—ყველა განკარგულებები ხომ თქვენ შტაბიდან მოგდით...

— აბა რას ამბობთ,—წყენით მიპასუხებენ მე. შტაბი—შტაბია, მაგრამ ჩვენ ხომ თვითონ უნდა შევისწავლოთ ადგილები და გავითვალისწინოთ ყოველგვარი შემთხვევები.

ახალგაზრდა ჭაბუკებია, გამჭრიახები, მათ არ ესაჭიროებათ აქტივობის და ინიციატივის მოგონება—ესენი ხომ „პრაპორშჩიკები“ არ არიან.

მჭიდრო კავშირი გლეხობასთან.

— დაიჯერებთ? პირველ მომენტში, როცა ჩვენ ოთახში შევედით, სახლის პატრონებმა დაიწყეს საგნების და ბალიშების გატანა... ხოლო როცა დაინახეს, რომ ყველაფერი ხელუხლებია—ისევ უკანვე დააბრუნეს გატანილი ნივთები. ეს კიდევ ცოტაა,—აგერ მესამეჯერ გვიპატიჟებენ სადილზე... მაგრამ ჩვენთვის საჭირო არ არის—ჩქარა საკუთარი სადილი მოგვივა.

სოფელ შ-ს, სადაც მე ჩავედი საღამოზე, დიდი გამოცოცხლება დაეტყო. შეხედავთ გლეხების და ახალგაზრდა წითელ არმიელების ჯგუფს. ჰკითხულობენ გაზეთს.

საღამოს 5 საათზე, საყდრის ზარები უხმობენ მცხოვრებლებს მიტინგზე.

სოფლის ახალგაზრდობა აღტაცებულია: მოვიდა ბალალაიკის და მანდოლინის ორკესტრი (ვა! ეს რა ინსტრუმენტებია?) 21-ე სკოლიდან. საღამოზე მხიარულება უმაღლეს წერტილს აღწევს.

მხოლოდ სოფელში დაბანაკებულ გარნიზონის შტაბში, ნავთის სანათურთან, მსჯელობენ ღამის შეტევის შესახებ. ხოლო შტაბის მახლობლად რუხ ბრეზენტიდან გამოიყურებიან სიბნელეში მძიმე ზარბაზნების ლულები.

დისციპლინა.

სანიტარულ ნაწილის შტაბი დაბანაკდა გზის პირას მდებარე დუქანში. იქვე მუშაობს ტელეფონი. მაგიდასთან ზის საექიმო პერსონალი; იხილავენ ევაკუაციის გეგმას, არკვევენ სანიტარულ „დვუკოლკების“ საჭირო რაოდენობას და სხვა.

იქვე გვერდით დახლზე დალაგებულია თვალწარმტაცი საჭმელები, რომლის დანახვაზე ნერწყვი ადგება პირზე წითელარმიელებს.

არავის აზრადაც არ მოსდის ხელი ახლოს ამ საჭმელებს. მედუქნე სულ წითელარმიელების ქებაშია.

— აი, რა კარგი ხალხია!..

ღამით.

ღამემ მომისწრო გზატკეცილზე მგზავრობის დროს, როცა შტაბისაკენ მივემართებოდი. გავსცდი დაუბრკოლებლივ ერთ „ზასტავას“, მეორეს—ვუახლოვდები მესამეს—ვხედავ ორ ცხენოსანს. ვჩერდები—რაშია საქმე?

ნაცნობი ხმებია. თურმე „ზასტავამ“ დააკავა ამხ. მონფორი, მანევრების ხელმძღვანელები და ამხ. ბარანოვი შტაბიდან.

მათ არ ჰქონდათ ნებართვა, და ჩვენებმა დააკავეს ისინი „მათი ვინაობის გამორკვევამდე“...

გზატკეცილზე მიდი-მოდის ჯავშნიანი ავტომობილი. წითელ ჯარის ბანაკში ვერ გაივლის ვერც ცხენოსანი და ვერც ქვეითი...

მტრის დევნა.

ინათლა თუ არა, ყველანი ფეხზე დადგნენ.

ცხენები მოუთმენლად ფრთქვინავენ. ყველანი მზად არიან.

გადიან ბრძოლის ველზე.

ჩვენების ამოცანაა განდევნონ მოწინააღმდეგის არიერგარდი, რომელსაც სიმაღლეები უკავია. მანგლისის რაზმიც აწარმოებს შეტევას.

დილით ჩვენი ნაწილები შედიან ტფილისში, კავალერია მნაცაკანის ხიდზე, დანარჩენები მუხრანის ხიდზე გავლით. ზეცაში, როგორც გუშინ, დაზუზუნებენ ჰაეროპლანები. მაგრამ დღეს ისინი საშიში არ არიან,—ჩვენ სასარგებლოთ მუშაობენ.

მოწინააღმდეგის მთავარი პოზიციები მდგომარეობენ კუკიის ტბის სამხრეთით. მათ წინ გათხრილია სანგრები, გაკეთებულია მავთულების ხლართები და ბლინდაჟები.

ჩვენი ცხენოსანი ჯარი უტევს მარჯვენა ფრთიდან; უვლის მოწინააღმდეგის მარცხენა ფრთას ზურგიდან.

მარცხენა ფრთაზე მოქმედებენ ჯავშნიანი ავტომობილები. ჰაეროპლანები დაბლა ეშვებიან და ყუმბარებს უშენენ მოწინააღმდეგეს.

იმისათვის, რომ არ მოხდეს რაიმე უბედური შემთხვევა, გაყვანილია სადემარკაციო ხაზი, რომელსაც არავინ არ უნდა გასცდეს. სროლა საბრძოლველი „პატრონებით“ სწარმოებს.

არტილლერიის მიზანია გაგლიჯოს მავთულის ხლართულები. მესანგრეები სჭრიან ხლართულს პიროქსილინის ხმლებით, მაკრატლებით, მოქმედებენ ნოვიცკის გრანატებით.

ბრძოლა გაცხარებულია.

მას შემდეგ, რაც მტრის ტეხნიკა განადგურებულია, იერიშზე გადადის ქვეითი ჯარი.

— ურა! ვაშა!..

სადილობის ხანს მტერი დამარცხებულია.

ვ.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(27 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	170,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	165,000
ჩეკები —	162,000
დოლარები ეფექტ. —	37,500
ჩეკები	35.000
ოსმ. ქალ. ლირა	20.700
იტალიური ლირა	1150
ფრანგული ფრანკი	1725
საბჭ. ფულის ნიშნები	14

მუშკოოპის ფასები.

პური 1 ხარ.—800 ათ., პური 2 ხარ.—700, ძროხის ხორცი—2 მილ. ფხვნილი შაქ.—4800, შაქარი რაფინადი 7900, ბრინჯი ადგ.—1,550, კარტოფილი—200, მაკარონი—2,500.

ტფილისის ბაზრის ფასები

პური 1 ხარ.—800—1 მილ., პური 2 ხარ.—700, ძროხის ხორცი—2.500 ცხვრის ხორცი—3300, შაქარი რაფინადი—8 მ., ფხვნილი შაქარი—5 მილ. ბრინჯი—1600, კარტოფილი—300—350, მაკარონი—2600.

ბირჟის მიწოდება.

ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ. „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია. ტყავის ღვედები, ლურსმნები, ფხვნილი შაქარი რუს. და იავის, შაბიამანი, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრის შუშა, ასანთი რუს. კაუსტიური სოდა, საპონი, ოლიფას ზეთი, მზესუმზირას ზეთი, ცემენტი და ეტერნიტი, ქვა-მარილი ნახიჩევ. ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო და 1 ხარ.), მაკარონი და ვერმიშელი უკრაინის. რკინეულობა, ოზურგეთის ჩაი, საბზა, სპილენძი (წითელი).

ბირჟის მოთხოვნილება

ფხვნილი შაქარი. შაქარი რაფინადი რუს. მანუფაქტურა რუს. სალომასი. მზესუმზირას ზეთი. პორტლანდის ცემენტი. ყუბანის ფქვილი. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი რუს. ტყავის ღვედები.

ოფიციალური გარიგებანი

მუხის ექსტრაქტი „კორონა“—7 მ. 50 კ. ჩერვ. ფუთში, ფრანკო-სად. ტფილისი.

პორტლანდის ცემენტი—10 მ. 80 კ ჩერვ. ბოჩკაში ფრანკო—ბათომი ვაგონი.

საქონლის ბაზრის განწყობილება

საერთოთ საქონლის ბაზრის განწყობილება გაცხოველებულია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

24 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 22 გარიგება, სულ 51,194 ჩერ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსმა ორი დღის დაწევის შემდეგ კვლავ აწევა დაიწყო.

ა. ქ. სავაჭრო სამმართველოში.

„ზაკუტილსირიო“-ს გამგეობის მოქმედების გამოკვლევა.

ა. ქ. სავაჭრო სამმართველომ, მოისმინა რა საინსპოქტორო განყოფილების მოხსენება „ზაკუტილსირიო“-ს გამგეობის მოქმედების შესახებ, დაადგინა წინადადება მიეცეს უკანასკნელს ერთი კვირის განმავლობაში წარადგინოს კონკრეტიული გეგმა თავის უახლოეს მოქმედების შესახებ. ნახსენები უნდა იყოს სრული ცნობები იმ საქონლის ფულის რაოდენობისა, რომელიც მის განკარგულებაში იმყოფება. ამის შემდეგ ა. | ქ. სავაჭრო სამმართველო განიხილავს საკითხს „ზაკუტილსირიო“-ს გამგეობის არსებობის და საერთოდ ნაწილევების საქმის შესახებ.

ს. მ. უ. ს. სათბობის განყოფილებაში.

სათბობ განყოფილებაში ირიცხება ტფილისში: ნავთის 5 საწყობი, 13 საწვრილმანო დუქანი და ერთი შეშის და ნახშირის საწყობი. პროვინციაში: 5 განყოფილება—აჭარისტანის, ქუთაისის, ტფილისის და დუშეთის, ბორჩალოს და სიღნაღის, ტყვიბულის ნახშირის მადნები, ბრიკეტის და კირის ქარხანა.

ყველა სავაჭრო წარმოებებში ირიცხება: თბილისში—53 მუშა და 65 მოსამსახურე, პროვინციაში—16 მუშა და 64 მოსამსახურე.

ოქტომბრის თვეში მიღებულია სხვადასხვა ნავთის ნაწარმოები (მაზუთი, მოტორის ნავთი, ბენზინი და სხ.) სულ 123,022 ფუთი; წინა თვიდან დარჩენილი 78,666 ფ.

გაცემულია ტფილისში 78,145 ფ. და პროვინციაში—23,734 ფ. სულ—101,879 ფუთი (ღირებულებით—197,358 მ. ჩერვ.).

რაც შეეხება ტყვიბულის ნახშირის მადნების პროდუქციას, ოქტომბრის განმავლობაში ამოღებულია სხვადასხვა ხარისხის ნახშირი—323,805 ფ. (სექტემბერში იყო 125,910 ფ.) და წინა თვიდან დარჩენილი 296,098 ფ. აქედან გაცემულია ტრესტის საკუთარ წარმოებებისთვის 5,934 ფ. სხვადასხვა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებებისთვის—202,798 ფ. კერძო პირთათვის—1,520 ფ. და შინაურ სახარჯოთ—19,620 ფ. რადგან ნახშირის მოთხოვნილება დიდია, ხოლო მისი გატანა გაძნელებულია სადგ. ტყვიბულის და ძველი მადნების შუა ხიდის გაფუჭების გამო—აღძრულია შუამდგომლობა ხიდის გაკეთებაზე. სათბობის განყოფილების მიერ მოყვანილი ცნობები იმას მაჩვენებელია, რომ საანგარიშო თვეში, წინა თვესთან შედარებით, მატულობს როგორც ნავთის ნაწარმოების შემოსვლა, ისე მათი განაწილება. სექტემბერში შემოსულია 32,949 ფ., ოქტომბერში-კი 123,022 ფ.; გაცემულია სექტემბერში 86,385 ფ. ხოლო ოქტომბერში 101,875 ფ. ნაწარმოებთა ხარჯის გადიდება უნდა მივაწეროთ სავსებით სათბობის პროდუქტის (მაზუთის) ხარჯის გადიდებას (68,606 ფ. ოქტომბერში, 53,635 ფ. სექტემბერში). უმთავრესად სათბობის მასალის ხმარებას მოუმატეს ჯგუფი „მრეწველობა“ და ტრამვაი. პირველმა ოქტომბერში დახარჯა 21499 ფ. (სექტემბერში 16.050 ფ.), მეორემ—4.483 ფ. (სექტემბერში კი მხოლოდ 230 ფ.) ნახშირის უმთავრეს მომხმარებლებად უნდა დავასახელოთ რკინის გზა და შემდეგ კი კერძო მრეწველობა.

ჩერვონცების და ამიერკავკასიის ბონების შეფარდება

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 კ.—	170.000,	60 კ.—	10.200.000
2 „—	340.000,	70 „—	11.900.000
3 „—	510.000,	80 „—	13.600.000
4 „—	680.000,	90 „—	15.300.000
5 „—	850.000,	1 მ.—	17.000.000
6 „—	1.020.000,	2 „—	34.000.000
7 „—	1.190.000,	3 „—	51.000.000
8 „—	1.360.000,	4 „—	68.000.000
9 „—	1.530.000,	5 „—	85.000.000
10 „—	1.700.000,	6 „—	102.000.000
20 „—	3 400.000,	7 „—	119.000.000
30 „—	5.100.000,	8 „—	136.000.000
40 „—	6.800.000,	9 „—	153.000.000
50 „—	8.500.000,	1 ჩერ.—	170 მილ.

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამხ. სამსონ მამულიას გამოწვევით შემომაქვს ერთი ჩერვონეცი გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ და ჩემის მხრით ვიწვევ ზუგდიდიდან: თომა ჩხეტიას, ივანე მაცეიოვიჩს, ზინაიდა დგებუაძეს, ილია გოგიას, კლავდია ჩხოლარიას, თეინა ჭედიას, ნინა მუჯირის, მიწისმზომელ გრეკოვს, ნ. ჯიმშელაშვილს, ამხ. ათანასე ესაკიას (ტფილისიდან), ნოე საბაშვილს და ვასილ კაჭარავას (სენაკიდან).

მამანტი მიმინოშვილი.

ამხ. ვანო ნიკოლაიშვილის გამოძახილზე, შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ჩერვონეცი.

გ. მიმინოშვილი.

ამხ. გ. მეუნარგიას გამოძახილის თანახმად, შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ჩერვონეცი.

ექიმი მიქაბერიძე.

ტ. მგალობლიშვილის და ს. ტურიანის გამოწვევაზე გიგზავნით გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ რვა ოსმალურ ლირას და ჩემის მხრით ვიწვევ ინჟ. ლინევსკის და ინჟ. ხიტარიანს (სამთო სამმართველო).

ინჟ. ა. ნ. გოგავა.

ქ. ლანჩხუთის ტეხნიკუმის და ცხრაწლედის მოწაფეები ვღებთ გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ჩვენს წვლილს ას სამოცდა ხუთი და ოთხას ორმოცდა ათ მანეთს (165,450,000) და ვიწვევთ, ჩოხატაურის, ბათომის და ფოთის ასეთსავე სასწავლებლებს, რომლებსაც შეუძლიათ მეტი შესწირონ გერმანიის პროლეტარიატს.

მოწაფეების სახელით ნესტორ მექვაბიშვილი და ა. კვახაძე.

საპასუხოდ ამხ. სანდრო თურქიას გამოწვევისა, შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ჩერვონეცის ღირებულება 134 მილ. მანეთი და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს: (ტფილისიდან) სამხკომ. იოსებ სიჭინავას, ალექსანდრე თურქიას და დათიკო კიკნაძეს; (სენაკიდან) კაპიტონ მელიქაძეს, ათანასე კოკაიას, იუსტინე გვასალიას, მიხა კაჭარავას, ერასტო გვასალიას, კაპიტონ ჯანჯღავას, იროდი კეშელავას, სამხკომის თანაშემწე ქირიას, ბესარიონ დუნდუას, ილიკო ფაილოძეს, მიშა კეშელავას, მაკარი ფალავას, ვალოდია დემურიას, ანტონი ფირცხელავას, ბესარიონ კიზირიას, იასონ ცომაიას; საჭილაოს ქარხნიდან: გამგე ინჟინერი გორბანს, ევგენი ლეჟავას, გიორგი ხაბეიშვილს, ევგენი სულავას და ანტონი ფარცვანიას; სენაკიდან: ალექსანდრე ტყებუჩავას და პანტე ნაჭყებიას; ზუგდიდიდან: მამია თოლორდავას და იოსებ ცხაკაიას.

კონსტანტინე გიორგის ძე ჭეჭელაძე.

ამასთანავე ერთად გაახლებთ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ მცირე წვლილს 120,000,000 მან. (ას ოც მილიონ მანეთს), რომელიც შეიკრიფა ხაშურის ტეხნიკუმის მოწაფეთა და მასწავლებელთა მიერ დადგმულ საღამოზე, და ვიწვევთ ჩვენს მხრივ—სამტრედიის, ზესტაფონის და გორის ტეხნიკუმებს, რათა მათაც გაიღონ თავიანთი წვლილი ფასიანი საღამოების დადგმით, ამ დიადი მიზნისათვის.

მონდობილობით: ლაკტიონოვი.

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ საკუთარი „საცერი ოქროს ბეჭედი“. ასეთივე ნივთის გასაღებად ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს და მოქალაქეთ, რომელთაც პასუხის გასაცემათ ვაძლევ ერთი კვირის ვადას დღეიდან ამის გამოცხადებისა:

ზუგდიდიდან: ამხ. იოსებ ცხაკაიას, მამანტი მიმინოშვილს, ავთანდილ ჯიქიას, ბართლომე ბეჭვაიას, ბიქტორ თორდიას, ევგენი უბირიას, ტარასი ლაგვილავას, ანდრი ჯიქიას, გრიგორ ჩიჩუას, ჯვებე ჩიჩუას, პამფი მამფორიას, კირილე მიქაიას, პეტრე შენგელიას, პლატონ იზორიას, ლადი როგავას, გერმანე ჯაკოვიას, სილიბისტრო როგავას, ლადი ზაქარაიას, აქსენტი მუშულიას, ვარლამ შოგარაძეს, X!.. ესათიას. ხეთიდან: ნესტორ ფარცვანიას, მიხა ჯგერენაიას, ოთარ გელოვანს, პავლე ჯანიას. ზუგდიდიდან: მოქალაქეთ: ალექსანდრე გაბუნიას, პავლე შელიას, სვიმონ შელიას, ფილუ ძაძამიას, მელქია ცხადაიას, ძუკუ წულეისკირს, მათე პაჭკორიას, გაბა გეგელიას, დავით კარტოზიას, ბესარიონ ჯიქიას, ნაფუ ფარცვანიას, ოთარ ბულიას, რაჟდენ დგებუაძეს, ელიზბარ შენგელიას, ივლო ბურლაშვილს, გიორგი პატარაიას, ელიზბარ ჯალაღონიას, ნიკო დანითაიას, მელიტონ ჯოლოგუას, სოლომონ ქვანიას, ალექსანდრე გულუას, კონდრა დადიშვილიას. ხეთიდან; მოქალაქეთ: თედორე ქირიას, თედორე ბუკიას, გუდუ კობახიძეს, ამირან კობახიძეს, ვარლამ ანტონის ძე კობახიძეს, ერმილე კობახიძეს, კონსტანტინე ლატარიას, სევერიანე ბუკიას, ერმილე ლატარიას, [illegible] კვარაცხელიას, ვლადიმერ ბუკიას, ისიდორე ლატარიას, გრიგოლ კუტალიას, რაჟდენ ქირიას, პეტრე მეუნარგია.

შემომაქვს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ ერთი ოქროს საათი ღირებული 45 მანეთად და ჩემ მხრივ ვიწვევ ამავე ღირებულების ნივთზე შემდეგი ამხანაგებს და მოქალაქეებს: ზუგდიდიდან: შემდეგ ამხანაგებს ოჯახობით: ი. ჯანაშიასი, გ. როგავასი, ა. ხუხუნისა, გ. ჯინჯოლავასი, პრ. შენგელიასი, ბ. შონიასი, მ. ხორავასი, ა. თოლორაიასი, მ. ბერულავასი, ა. ქირიასი, ვ. სიჯინავასი, ი. სარიასი, ლევან გოგიასი. ამხ. თათუშა ჩხეიძეს, ლუბა შელიას, ოლია ჩიჩუას, მოქ. კატო ბერიძეს, ლიპა შელიას, არიადნა თოლორაიას, კატო უგულავას, ლოლა ანჯაფარიძეს, ნადია ჭედიას, ტიგია ცანავას, ზინა ზომბერლუტს, ზინა დგებუაძეს, კლარა ჩხოლარიას. ფენია ჭედიას, მანია პატარაიას, სონია გვასალიას, კატო ჭედიას, ძაძუ გოგოხიას, მელენტი ქვანიას, ვერენა ადამიას, დუნია ლატარიას, ეფროსინე ძაძამიძეს, ლილი ცანავას, ლიდია ჩახაიას, ცოცია წულეისკირს, დარია ნაჭყებიას, [illegible], საშა დარასელიას ოჯახობას, რაჟდენ გეგეჭკორის ოჯახ. ხეთიდან: დანდუ ბუკიას, ცაცუ ლატარიას, მარო კუტალიას, ხუხა კობახიძეს, წაწუ კიტიას.

ცაცუ მეუნარგია.

გერმანიის დამშეულ ბავშვთა სასარგებლოდ შემომაქვს ვერცხლის ფულით ცხრა მანეთი და 50 კაპ. ჩემ მხრივ, ამ რაოდენობით შეწირულების გასაღებად ვიწვევ შემდეგ ბავშვებს: ზუგდიდიდან: ხუტა ბეგლარი ბერიას ასულს, ბუცა ფარნაოზის ასული ფაჩხაიას, კოლია იასონის ძე მუჯირს, გიგა ნიკოლოზის ძე ბუკიას, ლალია ავანასიევისას, ძუკულა სარდიონის ძე მაღლაკელიძეს, გულია ხოშტარიას, ბოჩია ალექსანდრეს ძე კვიციას, პეტია გვიჩიას, მიხა და მანია ტერენტის ძე ლატარიას, ნელიკო ამბაკოს ასული ჩაგანავას, თინიკო სოკრატის ასული კეშელავას, თომა ჩხეტიას ორივე ქალიშვილს, ივანე ჯალაღანიას პატარა ქალიშვილს, ვასო ხუბუას ვაჟიშვილს. ბათომიდან: ლეონიდე აკაკის ძე ქავთარაძეს.

ჭუჯულია იგივე პალიკო პეტრეს ძე მეუნარგია.

შემოვიდა 27 ნოემბერს:

1) მ. მიმინოშვილისაგან,—1 ჩერვონეცი, 2) გ. მიმინოშვილისაგან 1 ჩერვონეცი, 3) ექიმი მიქაბერიძისაგან—1 ჩერვ., 4) ა. გოგავასაგან—8 ოსმალური ქალ. ლირა, 5) ლანჩხუთის ტეხნიკუმის და ცხრაწლედის მოწაფეებისაგან—165.450.000 მანეთი. 6) ზესტაფონის ფ. ტ. მუშა-მოსამსახურეებისაგან—138.041.000 მან. 7) ქ. ჭეჭელაძისაგან— 134.000.000 მანეთი, 8) ხაშურის ტეხნიკუმის მოწაფეთა და მასწავლებელთაგან—120.000.000 9) პ. მეუნარგიასაგან 1 ოქროს ბეჭედი 10) ც. მეუნარგიასაგან—1 ოქროს საათი, 11) პალიკო მეუნარგიასაგან 9-50 კაპ. ვერცხლის ფული, 12 **ფოთის პარტკომისაგან** მის მის მიერ სხვადასხვა დაწესებულებათა და პირთაგან შეგროვილი: 356 ჩერვონეცი, 5 ინგლისური გირვანქა, 81-იტალიის ლირა, 2 ნახ. ოსმალ. ლირა, 10 ოქროს ჯვარნაწერი ბეჭედი წონით 15 1 | 2 მისხალი, 5 ოქროს ბეჭედი წონით 23 | 4 მისხალი, 1 ოქროს ბეჭედი ბრილიანტის თვალით 3 | 4 კარატით წონით 13—4 მისხალი, 1 ოქროს ქინძისთავი წონით 3 | 8 მისხალი, 3 ვერცხლის პორტ-სიგარი,—წონით 114 1—2 მისხალი, 1 ოქროს ხუთმანეთიანი, 8—30 კაპ. ვერცხლის ფული, 1 გერმანული მარკა ვერცხლისა, 91 | 2 ვერცხლის ინგლისური შილინგი, 2 ოსმალური ვერცხლის ფული, 1 ტყავის ქამარი 18 ვერცხლის ნაჭერით, 18 ვერცხლის ქილის თავები,—წონით 21 3 | 8 მისხალი, 1 ოქროს ათმანეთიანი, და ამკ. ნიშნებით—949.958.000 მანეთი.

ს უ ლ: 359 ჩერვონეცი, 10 ნახ. ოსმალური ქალ. ლირა, 17 ოქროს ბეჭედი, 1 ოქროს საათი 17—80 კაპ. ვერცხლის ფული, 5 ინგლისური გირვანქა, 81 იტალიის ლირა, 1 ოქროს ქინძისთავი, 3 ვერცხლის პორტ-სიგარი, 1 ოქროს ხუთმანეთიანი, 1 გერმან. ვერცხლის მარკა, 9 1 | 2 ინგ. ვერცხლის შილინგი, 2 ოსმალური ვერცხლის ფული, 1 ტყავის ქამარი 18 ვერცხლის ნაჭერით, 18 ვერცხლის ქილისთავები, 1 ოქროს ათმანეთიანი, და ამკ. ნიშნებით—1.507.444.000 მანეთი.

სულ შემოსულია: 691 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგლისური სტერლინგი, 41 ოსმალური ქალ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 39 ოქროს ბეჭედი, 3 ოქროს სამაჯური, 5 ოქროს სიგული, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 71—20 კაპ. ვერცხლით 6 ვერცხლის პორტ-სიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, 2 ნაჭერი ოქრო წონით 1 მისხალი 1 ოქროს ხუთმანეთიანი, 1 გერმანული ვერცხლის მარკა, 9 ნახევარი ინგლისური ვერცხლის შილინგი, 2 ოსმალური ვერცხლის ფული, 1 ტყავის ქამარი 18 ვერცხლის ნაჭერით, 18 ვერცხლის ქილისთავი, 1 ოქროს ათმანეთიანი, და ამკ. ნიშნებით—28.762.181.000 მანეთი.

პროფკავშირებში

პროფსაბჭოს გაფართოებული პლენუმი

(26 ნოემბრის სხდომა)

26 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე შესდგა ს. პ. ქ. ს. პლენუმის გაფართოებული სხდომა. თავმჯდომარეობდა ამხ. ყურულაშვილი.

ტფილისის დამზღვევი კასის ანგარიში.

(მომხსენებელი ამხ. ცომაია)

დამზღვევი კასის აპარატი. 1923 წლამდე, ამბობს მომხსენებელი, დამზღვევი კასის აპარატი მუშაობდა სავსებით ნორმალურად და წესიერად, მთავარი ნაკლი კასისა ამ პერიოდში იყო დასაზღვევ გადასახადის აკრების სუსტი დაყენება.

კასის კონსტრუქცია. ტფილისის დამზღვევ კასას აქვს 6 ძირითადი განყოფილება: საპენსიო, უმუშევართა დახმარების, აკრეფის, სტატისტიკური და საბუღალტერო. ყველა განყოფილებებში მუშაობს 50 მუშაკი,—შტატი სავსებით ნორმალურია.

საპენსიო განყოფილება.

თუმცა საქართველოს გასაბჭოების შემდეგ სწარმოებდა შრომის ინვალიდთა აღრიცხვა, მაგრამ მუშაობა ამ მიმართულებით ნორმალურ კალაპოტში დგება მხოლოდ 1922 წლის მეორე ნახევრიდან. 1923 წლის 1 იანვრისთვის დამზღვევ კასას აღრიცხული ჰყავდა 452 შრომის ინვალიდი, ამა წლის პირველი ნოემბრისთვის აღრიცხულია უკვე 810 ინვალიდი. აღრიცხულ შრომის ინვალიდები იყოფიან 3 კატეგორიად შრომის სტაჟის მიხედვით, 1-ლი კატეგორია იღებს 7 საქონლის მანეთს, მეორე—5 საქ. მანეთს, მესამე—3,5 საქ. მანეთს. გარდა ამ დახმარებისა, შრომის ინვალიდებს და მათ ოჯახებს ეძლევათ ფული კომუნალური ხარჯებისათვის და სრულიად უფასოთ სამკურნალო დახმარება.

დამზღვევის კასის მიერ ინვალიდებისათვის გაწეული დახმარება რასაკვირველია, მცირეა, მაგრამ კასის ფინანსების გაჯანსაღებისთანავე, განზრახულია დახმარების გადიდება.

უმუშევართა განყოფილება.

უმუშევართა განყოფილება განმტკიცდა მხოლოდ 1923 წლის დასაწყისიდან და მოქმედობს შრომის ბირჟასთან.

ტფილისში სულ აღრიცხულია 25,000 უმუშევარი, რომელთაგან განყოფილებას აყვანილი ჰყავს აღრიცხვაზე 6,000. აღრიცხვაზე აყვანილი ორი კატეგორიით იყოფიან: 1) ფიზიკური შრომის მუშები და 2) მოსამსახურენი. პირველი კატეგორია ღებულობს 5 საქ. მანეთს, მეორე—3,5 საქ. მანეთს.

ხსენებული კატეგორიები არ იხდიან კომუნალურ ხარჯებისათვის და უფასოთ სარგებლობენ სამკურნალო დახმარებით. არსებობს უმუშევართა უფასო სასადილო 500 კაცისათვის.

დახმარების განყოფილება.

ეს განყოფილება ეხმარება მუშა-მოსამსახურეებს შრომის უნარის დროებით დაკარგვის დროს, მშობიარობისას, დამარხვის დროს, თითო ბავშვის გამოკვების და ავადმყოფის მოვლის დროს.

დროებითი შრომის უნარ-დაკარგულთა დახმარება. უკანასკნელ 10 თვეს აღრიცხულია 8,396 შემთხვევა შრომის უნარის დროებითი დაკარგვისა (ავადმყოფობის გამო). ავადმყოფობის დღეთა რაოდენობა უდრის 145.810.

დაზღვეულნი უმთავრესად ავადმყოფობენ მალარიით და ტუბერკულიოზით, ხოლო ბოლო ხანებში გაიზარდა აგრეთვე ვენერიული სენით შეპყრობილთა პროცენტი.

მალარიით დაავადმყოფება თანდათან კლებულობს: 1921 წელს ავადმყოფობათა შემთხვევებიდან 21,5 პროცენტს წარმოადგენდა მალარია, 1922 წელს—26 პროცენტს, ხოლო 1923 წელს—16,4 პროცენტს.

სრულიად საწინააღმდეგო სურათს იძლევა ტუბერკულიოზი. 1921 წელს იყო 6,8 პროცენტი, 1922 წელს—5,9 პროც., ხოლო 1923 წელს—10,8 პროცენტი.

შრომის უნარიანობის დროებით დაკარგვის დროს დამზღვევი კასა აძლევს დახმარებას დაზღვეულს, მის ფაქტიურ ხელფასს. ამ გარემოებით აიხსნება ამ უკანასკნელ ხანებში სიმულიაციის გახშირება. დამზღვევი კასა ენერგიულ და ნაყოფიერ ბრძოლას აწარმოებს ამ მოვლენის წინააღმდეგ.

მშობიარობა. მშობიარობის შემთხვევები უკანასკნელ ხანებში საგრძნობლად მატულობს. 1923 წელი იძლევა მშობიარობის უდიდეს პროცენტს. მშობიარობისათვის დამზღვევი კასა აძლევს სახელმწიფო [illegible] სამმართველოს საშუალედო წევრების 70 პროცენტს. ამის გარდა ბავშვის გამოსაკვებად 9 თვის განმავლობაში ეძლევათ ნაკრების ერთი მეოთხედი.

დახმარება დაკრძალვის დროს. სიკვდილიანობა კლებულობს.

1921 წელს სიკვდილიანობა უდრიდა 1,26 პროცენტს, 1922 წელს 0,094 პროც., ხოლო 23 წელს 0,82 პროცენტს. ეს გარემოება აიხსნება უსათუოდ მუშა მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესებით.

ტფილისის დამზღვევი კასა ღებულობს ზომებს ავადმყოფობის შესაძლებლობის წინააღმდეგაც (პროფილაქტიკა). ამ მიზნით ს. პ. ქ. საბჭოს და პროფკავშირების დახმარებით მოეწყო დასასვენებელი სახლები და შენდება სანატორიუმები.

დაზღვეულთათვის გაწეული სამკურნალო დახმარება სავსებით დამაკმაყოფილებელია. სამკურნალო განყოფილებას აქვს 12 მსხვილი ამბულატორია, 14 პატარა სხვადასხვა წარმოებასთან და ერთიც, საავადმყოფო კამოს სახელობაზე 160 საწოლი.

სულ დაზღვეული ტფილისში 30.000 კაცი, რომელნიც გაერთიანებული არიან 2492 სახელმწიფო და კერძო წარმოებასა და დაწესებულებაში. პროცენტულ ანარიცხების აკრება თანდათან წესიერ კალაპოტში დგება. 1922 წლის იანვრის თვეში დამზღვევი კასა ყველა პროცენტულ ანარიცხთა 55 პროცენტს ჰკრებდა. ამჟამად კასა ჰკრებს 70—75 პროცენტს. დამზღვევი კასის შემოსავალი 1923 წლის 10 თვის განმავლობაში უდრიდა ერთს ტრილიონს, შვიდასსამოცდარვა მილიარდს 957 მილიონს და 200 ათას მანეთს ა. | ქ. ფულის ნიშნებით. ამ თანხის 93,45 პროცენტი უკვე დახარჯულია.

კამათი.

მოკამათე ამხანაგთა უმრავლესობა შეეხო უმთავრესად კერძო შემთხვევებს. და წვრიმალ დეფექტებს, რომელსაც ადგილი ქონიათ მხოლოდ სამკურნალო ქ. განყოფილებაში. პრინციპიალური საკითხები წამოაყენა მხოლოდ ამხ. ელბაქიძემ, რომელიც აუცილებელ საჭიროებად სთვლიდა: შრომის ინვალიდთათვის დახმარების გადიდებას, კასის წევრთა ფოტოგრაფიული სურათების შემოღებას ბოროტ-მოქმედებასთან საბრძოლველად და სხვა.

რეზოლიუცია.

მოისმინა რა ტფილისის დამზღვევი კასის 10 თვის მუშაობის შესახებ მოხსენება, ს. პ. ქ. ს. გაფართოებული პლენუმი აღნიშნავს დამზღვევი საქმის წარმატებას. სთვლის მას დამაკმაყოფილებლად და მუშათა ინტერესების სასარგებლოდ. პლენუმი საჭიროთ აღიარებს აგრეთვე 1) სამკურნალო ქვეგანყოფილების საექიმო პერსონალის გაჯანსაღებას; 2) მუშაობის გაძლიერება პროფილაქტიკის სფეროში მუშათა დასასვენებელი სახლების და სანატორიუმების ქსელის გაფართოვებით; 3) სოციალური დაზღვევის მუშათა მასებთან დაახლოვება მუშათა რაიონებში პუნქტების გახსნის საშუალებით; 4) ექიმთა რაოდენობის გადიდება და კბილის სამკურნალო დახმარების გაუმჯობესება; 5) დამზღვევი კასის მონაწილეთა ფოტოგრაფიული სურათების შემოღება სიმულიაციის და ბოროტ მოქმედების ასაკვეთად; 6) პროფორგანიზაციების მიერ დამზღვევი კასისათვის სუბსიდიის მიღება სოციალურ დაზღვევის იდეის საპროპაგანდოთ კასის წევრთა შორის; 7) საქარხნო კომიტეტების მიერ ყოველგვარი ღონისძიებით დამზღვევი კასისათვის ხელის შეწყობა სოციალურ დაზღვევის დარგში მუშაობის დროს.

საბჭოთა სასამართლოში

სამხედრო სამსახურზე უარის თქმა სარწმუნოებრივი მოსაზრებით

26 ნოემბერს კავკასიის ცალკე წითელდროშოვან არმიის ტრიბუნალში, რომელშიაც შედიოდენ თავმჯდომარე ამხ. ივანოვი და წევრები ამხ. ამხ. რუსსკი და ლაგუჩინი გაირჩა საქმე წითელარმიელების მაზუნის, ხიშნიაკის, იაცენტზოკის და ტიშჩენკოს, რომელთაც ბრალათ ედებოდათ ის, რომ სამხედრო სამსახურიდან თავის დახწევის მიზნით, სარწმუნოებრივ მოსაზრებების გამო, მათ უარი განაცხადეს წითელარმიელების მოვალეობათა ასრულებაზე.

ბრალდებულთა სკამზე ზიან ახალგაზრდები. თვითეული მათგანი 22 წლისაა. ყველა ისინი დარწმუნდენ მიღებულ სარწმუნოების სისწორეში იმ დროს, როდესაც ისინი 19 წლისანი იყვნენ და მაშინვე „მიიღეს ნათლობა“. ტიშჩენკო—ადვენტისტია, დანარჩენები—ქრისტიანები - ბაპტისტები. სასამართლოს მიერ დაკითხული მოწმეები ამტკიცებენ, რომ ბრალდებულები ეწეოდენ ისეთ ცხოვრებას, როგორიც შეეფერება ბაპტისტურ მოძღვრების მოთხოვნილებებს.

მოწმეები და ექსპერტები გადაჭრით აცხადებენ, რომ ძმათა ჯგუფში ყოფნა ჰფარავს შესაძლებლობას, რომ ძმათა ჯგუფის წევრებმა მონა-

მუშათა ცხოვრება

რევოლუციის გამარჯვება ახალგაზრდების საქმეა

ნოემბრის 20 ს ექვსი წლის თავი იდღესასწაულა საქართველოს კომუნისტურმა ახალგაზრდობამ „ახალგაზრდობის სოციალისტურ-ინტერნაციონალისტურ კავშირის"—„სპარტაკ"-ის დაარსებიდან.

არ შეგვიძლიან ჩვენ, მუშებმა, გულითადი სალამი არ მიუძღვნათ რევოლუციის პირმშო შვილებს, რომელნიც წარმოშობილან სოფლის გლეხისა და ქალაქის მუშის ღარიბი ოჯახებიდან.

ახალგაზრდობა პირველი მოწინავე რაზმია, რომელიც ჰკაფავს ნარეკლით მოფენილ გზას და მიისწრაფვის უკეთეს მომავლის, სოციალიზმის დასამყარებლად.

თუ ძველის წესით და ადათით აღზრდილნი ვერ შერიგებიან ადვილად ახალ სოციალისტურ წესწყობილებას და ქვეყნის დაღუპვად მიაჩნიათ მონობიდან განთავისუფლება, სამაგიეროდ ახალგაზრდობა აღტაცებულის სიხარულით ეგებება ახალს, სოციალისტურ წყობილებას და სიცოცხლეს სდებს მის განსახორციელებლად.

ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს ის დიდი, მასზე დაკისრებული მოვალეობა, რომელიც მას წილად არგუნა ოქტომბრის რევოლუციამ. მან უნდა მტკიცე საძირკველი ჩაუყაროს საბჭოთა საქართველოს და მჭიდრო ძმური კავშირი დაამყაროს ყველა ერის მშრომელ ხალხთან.

ჩვენ, მუშებს, კარგად უნდა გვესმოდეს, რომ საერთო ძალით და სიყვარულით მივაღწევთ ჩვენს საბოლოო მიზანს და დავამარცხებთ სამუდამოთ ყველა ჩვენს მტრებს.

ეს საერთო ძალა კი ჩვენი მუშური ახალგაზრდობაა, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი მომავალი კეთილდღეობა და წინსვლა.

მით უმეტეს გაასკეცებული შრომა და ბრძოლა მართებს საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობას, რომელიც სათავეში უნდა ჩაუდგეს ჩვენს ჩამორჩენილ ქვეყანას და სწავლა-ცოდნის ჩირაღდანი შეანათოს გლეხისა და მუშის ღარიბ ოჯახში.

ნათქვამია: „წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო" და სწორედ ჩვენ ასეთ ხიდად მიგვაჩნია რევოლუციის თანამედროვე ახალგაზრდობა.

ჩვენმა ახალგაზრდობამ ბოლო უნდა მოუღოს ყველა ძველ მონურ ჩვეულებებს და ადათ-წესებს, რომელნიც ბოჭავდნენ ადამიანის სალ აზროვნებას, ჰბორკავდნენ მშრომელი ხალხის წინსვლელობას, და ჩვენი მომავალი ცხოვრება ახალ მეცნიერულ სწავლა-ცოდნაზე ააგონ.

გლეხი და მუშა თუ ძველად მოკლებული იყო ადამიანურ ცხოვრებას და მხოლოდ უღელში გაბმულ ხარივით, მუნჯად ქცეული, მძიმე შრომას ეწეოდა მუქთა-ხორების სარჩენად, დღეის შემდეგ გლეხი და მუშა უნდა შეიქმნეს ქვეყნის ბატონ-პატრონი, უფლება მოსილი.

რევოლუციის გამარჯვება-კი და ჩვენი დიდი მიზნების განხორციელება დამოკიდებულია ახალგაზრდობის შეგნებაზე, მათ მედგარ თავდადებულ ბრძოლაზე.

გაუმარჯოს საქართველოს ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირს!

ჩვენი მუშური სალამი მათ!

მუშკორი დ—ელი.

ერთი კურიოზი

(ალმასკომის საყურადღებოდ)

ამ წერილში მე მინდა შევეხო ფრიად საყურადღებო მოვლენას. მუშათა უბნებში დანიშნეს მეეზოვეები, რომლებმაც უნდა დაჰგავონ, გაასუფთავონ ქუჩები და ღამე უყარაულონ კიდეც. ძალიან მოსაწონია ასეთი დანიშნულება. მაგრამ ამას კი არავინ ასრულებს, გარდა იგივე უბნის მუშებისა, რომლებიც იქ სცხოვრობენ. ავიღოთ, მაგალითად, პატარა (ხუხულა) სახლები. შიგ სცხოვრებენ თვითონ სახლის პატრონები თავიანთ ცოლ-შვილითურთ, მდგმური მათ არა ჰყავთ და ზედმეტი შემოსავალი არსაიდან არა აქვთ. ამნაირი სახლის პატრონები კი მუშათა უბნებში ბევრია და ისინი აქ თვითონვე ასუფთავებენ ეზოსაც და ქუჩასაც. ამ უბნებში დანიშნულია ეხლახან მეეზოვეები, რომელნიც თვეში ერთხელ თუ გამოჩნდებიან ამ უბნებში და ისიც ფულისათვის. პირველად ამ ფაქტიურ მეეზოვეებს მივეცით—4 700 000 მ., მეორედ—6 800 000 და ეხლა მესამედ—10 500.000 მან. თითო ეზოდან ეს მეეზოვეები კი მუშათა უბნისთვის სრულიად ზედმეტი ბარგია, მხოლოდ ჩვენი მუშური ღარიბ ჯიბის წურბლები. მე ძალიან მიკვირს, რატომ ალმასკომი იმას ვერ აკეთებს, რასაც ჩვენ მუშათა უბნის მცხოვრებნი აუცილებლივ მისგან მოვითხოვთ, რომლებშიაც სინათლე არ არის, სადა წყალი არ მოგვდის და დამტვრეულ ქუჩებში ცხვირპირს ვიმტვრევთ. აი ჩვენ მისი გაკეთებას და მოწესრიგებას მოვსთხოვთ ალმასკომს და ჩვენ გოდებას ყურს არავინ უგდებს.

ჩვენ წინააღმდეგი არა ვართ მეეზოვეებისა, მაგრამ ჯერ უნდა მოგვცეს ის, რაც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მუშის „კეთილდღეობისათვის": წყალი, სინათლე და სხ. და შემდეგ ვიზრუნოთ მეეზოვეებზე. მეეზოვეების შენახვა ძვირად გვიჯდება: უნდა შემოკლდეს ჩვენი გადასახადი 50 პროცენტით მაინც.

მუშკორი ასოთ-ამწყობი.

შევაკეთეთ მუშათა ცენტრალური კლუბი

ზაფხულის სეზონის დასრულების შემდეგ, 25 ნოემბერს კვლავ გაიხსნა მუშათა ცენტრალურ კლუბში ზამთრის სეზონი. 2 თვის განმავლობაში აღნიშნულ კლუბში მოხდა სათანადო შეკეთება. დარბაზში მოწყობილია კინემატოგრაფისათვის სპეციალური კინემატოგრაფიული „ბუდკა", გასუფთავებულ კედლებზე მშვენიერი რევოლუციონურ - პროლეტარული სურათებია გაკრული, შენობას ანათებს საკმაო ელექტრონის შუქი, სცენისათვის შექმნილია ახალი დეკორაციები და ტილოები, დახატულია ახალი ფარდა.

მოხდენილად არის მოწყობილი კლუბის ფოიე, თამბაქოს მოსაწევი ოთახი და ბევრი სხვა წვრილმანი სამუშაო შესრულებულია. სამკითხველოშიაც დიდი მუშაობაა ჩატარებული როგორც წიგნთსაცავის აღნუსხვით, ისე მისი დალაგებით ათეულის სისტემაზე.

25 ნოემბერს შინაარსიანი პროგრამით გაიხსნა ზამთრის სეზონი; ამ საღამოს წარმოდგენის დაწყებამდე კლუბის გამგე ამხ. ი. ჩელიძემ გააკეთა მოკლე მოხსენება იმის შესახებ, თუ რა გაკეთდა კლუბის ყველა განყოფილებებში ამ ორი თვის განმავლობაში. მომხსენებელმა მოუწოდა დამსწრეთ და, განსაკუთრებით, კლუბის წევრებს, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღონ კლუბის კულტურულ მუშაობაში.

მუშკორი მელითონე.

მუშათა წერილებიდან

— **ჩვენმა წერილებმა მიზანს მიაღწიეს.** საბურთალო ერთი თვის წინედ სოდომსა და გომორს მოგაგონებდა. საღამოობით აქ იყრიდნენ თავს ყველა უსაქმურები, ლოთები და ქურდებიც. ამ უსაქმურ, ან ბოროტ საქმეთა ჩამდენ ხალხს „მწარე წყლეთებს" (ღვინო-არაყს) აწვდიდნენ ადგილობრივი სამიკიტნოები. ღვინოარყით გალეშილი უზნეო ლოთ-ქურდები გამოდიოდნენ ქუჩებში და აქ პატიოსან მოქალაქეთ შეურაცხყოფას აყენებდნენ სიტყვით და საქმით. მილიციელები პირველად ამას უყურებდნენ, როგორც ბუნებრივ მოვლენას და არავითარ ზომებს არ ღებულობდნენ.

მაგრამ, დახეთ, მუშათა კალამმა ეს საძაგლობა უშიშრად გამოამჟღავნა მუშათა პრესაში; მან გაჰკიცხა „ხულიგნები" და მოითხოვა „უსაქმო ადმინისტრაციისაგან" საბჭოთა საქმიანობა. ყოველივე ამას კი მოჰყვა საბურთალოში ქურდობა-ლოთობის მოსპობა და მილიციელებიც ჯერჯერობით თავიანთ დანიშნულების სიმაღლეზე დგანან.

მუშკორი ნიანგისხებური.

ვიტანჯებით უწყლოთ

(ქალ. ალმასკომის საყურადღებოდ).

ამხ. ტროცკის ქუჩაზე საბჭოთა სახლს № 10-ს აგერ სამი დღეა წყალი დაუკეტეს; რა მიზეზითაა წყალი დაკეტილი,—ალაჰმა და დირექტორმა დიასამიძემ უწყის ალბად, რომელიც ყოველთვის „დიდს ეკონომიას" ეწევა მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე—„ქალაქის მეურნეობის აღსადგენად". **ჩვენ წყლის ფული თავის დროზე გადაგვიხდეთ და ჩვენთან მოსჭირნეობა**—მოქ. დირექტორო, უსამართლობად უნდა ჩაგეთვალოს თქვენ! და ჩვენ მოვითხოვთ წყლის მიცემას დაუყოვნებლივ.

მუშკორი ეკალი.

მუშათა ქრონიკა

— **ეკლესიების მასალა სახალხო სახლისათვის.** ქ. ხონის მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებაზე დადგენილ იქნა დაირღვეს ორი უბნის ეკლესიები და მათი მასალა მოხმარდეს ხონის სახალხო სახლს.

— **აბანოები სოფლად.** ს. ყვარელში და წინანდალში ეწყობა აბანოები, რომელნიც დიდ აღფრთოვანებას იწვევენ ადგილობრივ მუშა-გლეხებში.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

(უმუშევართა სამსახურში ჩარიცხვის ახალი წესი).

კითხვა. რომელ უმუშევართ აქვთ იმის უფლება, რომ შრომის ბირჟის გარეშე თვითონვე მონახონ სამუშაო და ჩასდგენ სამსახურში?

პასუხი. შრომის ბირჟის გარეშე სამსახურში შესვლის უფლება აქვთ მხოლოდ იმ უმუშევართ, რომელნიც ბირჟის აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ არანაკლებ ექვსი თვისა და რომელნიც ამ ხნის განმავლობაში იღებდნენ უმუშევართა დამხმარე ფონდიდან დახმარებას.

კითხვა: სავალდებულოა თუ არა ამგვარ უმუშევართათვის რეგისტრაციაში გატარება.

პასუხი: აღნიშნული უმუშევრები სამსახურის, ან სამუშაოს მიღების შემდეგ აუცილებლად გატარებული უნდა იქნან შრომის ბირჟას „შემდგომ რეგისტრაციაში".

კითხვა: ამა თუ იმ პირის „შემდგომ რეგისტრაციაში" გასატარებლად რა საბუთები უნდა იქნეს წარდგენილი შრომის ბირჟაში?

პასუხი: აღნიშნულ შემთხვევაში დამქირავებელი ვალდებულია წარუდგინოს შრომის ბირჟას დამხმარე კასის ცნობა შესახებ იმისა, რომ სამსახურში მის მიერ ჩარიცხული პირი იყო ნამდვილად უმუშევარი, შრომის ბირჟის აღრიცხვაზე ექვსი თვის განმავლობაში მყოფი, რომელიც ამის გამო იღებდა სათანადო დახმარებას და რომლისთვის დახმარების გაცემა უკვე შეწყვეტილია.

კითხვა: იმ უმუშევართა, რომლებმაც ამ უფლებით ისარგებლეს ერთხელ, შეუძლიანთ თუ არა ხელმეორედ იმავე წელში შრომის ბირჟის გარეშე თვითონვე მონახონ სამუშაო და ჩასდგენ სამსახურში?

პასუხი: ამის უფლება აქვთ მხოლოდ იმათ, ვინც გაგზავნილი იყო დროებითი ხასიათის სამუშაოზე, (არა უმეტეს ორი კვირის განმავლობაში), ან და ისეთ უმუშევრებს, რომლებმაც ვერ ჩააბარეს გამოცდები იმ დარგში, რომელშიაც ისინი უნდა ყოფილიყვნენ ჩარიცხულნი თანამშრომლებად.

(**იხ. დადგენილება ამიერ-კავ. შრომის კომ. № 75. გაზ. „ზარია ვოსტოკა"-ში № 270 (486).**)

წილეობა მიიღონ ადამიანის მოკლაში.

ამ რიგათ სამხედრო სამსახური, და აგრეთვე იარაღის ქარხნებში და სხვა ამდაგვარ დაწესებულებებში მუშაობა აღნიშნულ მოძღვრების ძალით ყოვლად დაუშვებელია. რაც შეეხება სამხედრო საავათმყოფოებში და საერთოდ არამწყობრულ ნაწილებში სამსახურს,—ამის შესახებ ბაპტისტებს არა აქვთ გარკვეული შეხედულება და ისინი, არ კიცხავენ რა სამსახურს ამ დაწესებულებებში, ძმათა კავშირის თვითეულ წევრს ანდობენ თვითონ გადასწყვიტონ საკითხი თავისი სინიდისის მიხედვით.

განიხილა რა საქმე, ტრიბუნალმა ბრალდება სამხედრო სამსახურიდან თავის დახწევის შესახებ, სარწმუნოებრივი მოსაზრებების გამო, არ სცნო დამტკიცებულათ და დაადგინა გამართლებულათ იქნენ ცნობილი ბრალდებულები და გადაგზავნილ იქნენ ისინი სამხედრო სამსახურის ვადის მოსახდელათ გადამდებ ავადმყოფობათა გოსპიტალებში.

ქრონიკა

— **ცეკავშირის გამომცემლობა.** ცეკავშირმა უკვე გაუგზავნა თავის განყოფილებებს სკოლებისათვის ადგილობრივ მისაწოდებლად მის მიერ გამოცემული ახალი სახელმძღვანელო წიგნი „მეგობარი", შრომ. სკოლის მესამე განყ. სრული კურსი. სახალხო განათლების კომისრის განკარგულებით. ეს წიგნი შეტანილია სავალდებულოდ სახმარ სახელმძღვანელოთა სიაში.

— **დახმარება რკინისგზის უმუშევრებს.** ა. კ. რკინისგზის დამხმარე კასამ საქართველოს რკინისგზის უმუშევართათვის ნოემბრისათვის დახმარების ნორმა განსაზღვრა შემდეგი სახით: 1-ლ ჯგუფისათვის—92 მილ., ხოლო მეორე ჯგუფისათვის—54 მილ.

— **სოფლის საბჭოს არჩევნები.** 23 ნოემბერს დაიწყო სოფლის საბჭოების არჩევნები დასავლეთ საქართველოში. ჯერ-ჯერობით არჩევნები ჩატარდა: ახალსენაკის, ბანძის და ახალ აბაშის რაიონებში. საბჭოებში არჩეულნი არიან კომუნისტები. სამაზრო საბჭოების ყრილობა მოწვეული იქნება 30 ნოემბერს.

— **შრომის ბირჟის ახალი გამგე.** ცენტრალურ და ტფილისის შრომის ბირჟის გამგეთ დაინიშნა ამხ. ლეინი.

— **ბიბლიოთეკართა კურსები.** ქართულ დივიზიის პოლიტ-განყოფილებასთან განზრახულია დაარსდეს ბიბლიოთეკართა კურსები. კურს დამთავრებულნი დაიგზავნებიან ჯარის ნაწილების ბიბლიოთეკებში საქმის სალ ნიადაგზე დასაყენებლათ.

— **საფოსტო მიმოსვლა აეროპლანის საშუალებით.** ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის მთავარ კანტორამ დაიწყო სასწრაფო წერილების და კორესპონდენციების მიღება, რომლებიც გაგზავნილი იქნება სხვა და სხვა მიმართულებით ჰაეროპლანით.

— **სკოლის გარეშე დარჩენილი ბავშვები.** ტფ. სახალხო განათლების განყოფილებამ დაადგინა მიიღოს სასწრაფო ზომები ახალი სკოლების გასახსნელად. მხოლოდ სკოლის გარეშე დარჩენილნი ბავშვები მიღებულნი იქნენ დროებით შრომის სკოლებში.

— **შრომის ბირჟა.** 20 ნოემბერს. უმუშევართა გამოცხადება არ ყოფილა. ახლად ჩაეწერა 10 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა 43. მოთხოვნილება იყო—43.

— **ინვალიდების არტელების წარმომადგენლების კონფერენცია.** 25 ნოემბერს ტფილისში გაიხსნა სრულიად საქართველოს ინვალიდების, არტელების წარმომადგენლების კონფერენცია. კონფერენციის მიზანია შექმნას საქართველოს ყველა ინვალიდების არტელების გამაერთიანებელი ცენტრი. კონფერენციამ მოსკოვიდან სრულიად რუსეთის ინვალიდების არტელების გამაერთიანებელ ცენტრიდან 26 ნოემბერს მისასალმებელი დეპეშა მიიღო. თავის მხრით კონფერენციამ დადგენილება მიიღო მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს სრულიად საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტს კომისართა საბჭოს და სრულიად რუსეთის ინვალიდების არტელების გამაერთიანებელ ცენტრს.

— **დახმარება და პენსიები ომის და შრომის ინვალიდებს.** სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატიდან ტფილისში პირველ ოქტომბრამდე დახმარება მიიღო ხუთას ოცდა შვიდმა შრომის და ომის ინვალიდებმა 7,298,050,000 მან. კომისარიატმა დახარჯა საინვალიდო სახლების შესანახათ (ამ სახლებშია მოთავსებული 216 ინვალიდი) 12,958,944,000 მან., სამგზავროთ შეღავათიანი ბილეთები მისცა 291 ინვალიდს, ფულათ 662,621,000 მან., ერთდროული დახმარების სახით ინვალიდებს მიეცა 2,613,650,000 მან.

— **კულტურული საზოგადოება ომში დაჭრილთა ინვალიდების „ახალ წრესთან".** ომში დაჭრილთა ინვალიდების „ახალ წრესთან" დაარსდა კულტურული საზოგადოება „კულტურა" იოსებ იმედაშვილის თავმჯდომარეობით, რომელიც მიზნათ ისახავს ინვალიდების ორგანიზაციებში და ფართო მასაში წიგნების გავრცელებას და ჟურნალის გამოცემას.

— **შეცდომის გასწორება.** ამხ. ფ. მახარაძის წერილში „პარტიის ახალი ამოცანების შესახებ" მესამე სვეტში სწერია: „...შეიძლება გახდეს წყაროდ ბევრ გაუმჯობესებათა" და სხვ. უნდა იყოს: „ბევრ გაუგებრობათა".

შემთხვევები.

— **სასტუმროს გაქურდვა.** 25 ნოემბერს დილის 11 საათზე პუშკინის ქ. № 4, გაქურდეს სასტუმრო „სასახლის ნომრები". წაღებულია რამოდენიმე მილიარდის ნივთები.

— **ბინის გაქურდვა.** 23 ნოემბერს გაქურდულ იქნა მოქ. თამარ ბელოიანის ბინა. წაღებულია 3 მილიარდის ნივთები.

— **შეპყრობა.** 19 ნოემბერს შეპყრობილი იქნენ სვიმონ ჩაგელიშვილი და სანდრო მათიაშვილი, რომლებსაც ბრალდებათ სხვადასხვა ქურდობა.

— **ქურდობა.** 24 ნოემბერს გაქურდეს მოქ. სერგო ხაჩატუროვი. წაიღეს რამდენიმე მილიარდათ ღირებული ნივთები.

— **ქურდის შეპყრობა.** 23 ნოემბერს შეიპყრეს ალიბარა ისმაილოვი სხვადასხვა ქურდობისათვის.

ხელოვნება

ლეონარდ ზომმერის კონცერტი. შაბათს, 24 ნოემბერს, სახელმწიფო კონსერვატორიის დარბაზში შესდგა ახალგაზრდა ნიჭიერ პიანისტის ლეონარდ ზომმერის კონცერტი. ლ. ზომმერი დიდი ხანია ცნობილია უკვე, როგორც სახელმწიფო კონსერვატორიის ფორტეპიანოს კლასის ნიჭიერი მოწაფე.

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი და მეტად პასუხისმგებელი გამოცდა „მოწაფე" ზომმერმა წარმატებით დაიჭირა და მისმა გამოსვლამ მეტად სერიოზული პროგრამით დაამტკიცა ის, რომ მას უფლება აქვს მოაწყოს დამოუკიდებელი გამოსვლები. ეჭვს გარეშეა, რომ პროგრამის შესრულებაში ნათელ დადებით მხარეებთან ერთად იყო დეფექტებიც, როგორც ტეხნიკურის, ისე მუსიკალურ შინაარსის გადმოცემის მხრივაც.

კონცერტი დაიწყო ბახის ჩაკონით, რომელიც ყველაზე უფრო დამთავრებულათ და სტილიურათ გადამუშავებულია ბუზონის მიერ. ზომმერი ტეხნიკურის მხრივ კარგათ ასრულებს ამ მშვენიერ ნაწარმოებს. მეტათ კარგათ იყო შესრულებული ნაწყვეტი მოცარტის რეკვიემიდან. ახალგაზრდა პიანისტი კარგათ მიუდგა რეკვიემის ამ ნაწყვეტის შინაგან შინაარს, რომელიც მშვენივრათ არის ჩამოსხმული მუსიკის მხრივ.

საჭიროა აღინიშნოს ის თბილი მიღება, რომლითაც შეხვდა აუდიტორია ახალგაზრდა პიანისტს.

მუსიკოსი.

— **„წითელი ტალღები".** ამ სათაურით გამოვიდა პროლეტარულ პოეტ აკოფ აკოფიანის ლექსთა საიუბილეო კრებული, რ. კ. პ. ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის გამომცემლობით—ქართულ, რუსულ და სომხურ ენებზე.

სომხური, ლამაზი, სურათებიანი გამოცემას წინ უძღვის ა. აკოფიანის ბიოგრაფია. სომხურ ენაზე კრებული ღირს 60 კ. ჩერვონცით, ქართულ და რუსულ ენებზე კი—50 კ.

კრებულის მთავარი საწყობია „მარტაკოჩის" კანტორა და ექსპედიცია (რუსთაველის პროსპ. № 34); იყიდება აგრეთვე ყველა წიგნის სავაჭროებში. თათრული კრებული გამოვა ამ დღეებში.

— **ახალი ოპერა „დაისი".** მზადდება ზაქ. ფალიაშვილის ახალი ოპერა „დაისი", რომელიც წარმოდგენილი იქნება დეკემბრის პირველ რიცხვებში კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **მსახიობი ქალის ყიხარევას გასტროლები.** ამ დღეებში ტფილისში ჩამოვა ცნობილი მსახიობი ქალი ყიხარევა და ტფილისის სხვადასხვა თეატრებში გამართავს რამდენიმე გასტროლს.

— **წიგნი სათეატრო ხელოვნებაზე.** ახლო ხანში ტფილისში გამოვა დიდ ტანიანი წიგნი სათეატრო ხელოვნებაზე. წიგნში მოთავსებული იქნება ყველა ადგილობრივ ნაციონალურ თეატრების მუშაობის შესახებ ვრცელი წერილები ისტორიული ხასიათისა და დეკორატიული მხატვრობა.

— **„გმირი".** ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ახალი შემადგენლობით „გმირი", თარგმანი გრიგოლ რობაქიძის, დადგმა კ. მარჯანიშვილის.

— **„თეატრი და ცხოვრება".** იბეჭდება და დეკემბერში გამოვა ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" იოსებ იმედაშვილის რედაქტორობით. ჟურნალში მოთავსებული იქნება: ლექსები, წერილები ხელოვნებაზე, პროზა, სარეპერტუარო ორიგინალური პიესა, მხატვრობა, ბიბლიოგრაფია და ქრონიკა. მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

— **„ბარრიკადა".** 1-ლ იანვრისათვის გამოვა „ცისფერი ყანწების" გაზეთი „ბარრიკადა" ტიციან ტაბიძის რედაქტორობით. გაზეთი იქნება დიდი ფორმატის.

— **მუშა-მწერლის გიგო ხეჩუაშვილის იუბილე.** ახლო ხანში ტფილისში გაიმართება მუშა-მწერალის გიგო ხეჩუაშვილის იუბილე მისი სამწერლო ასპარეზზე 25 წლის მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **უფასო კონცერტები წითელ-არმიელებისათვის.** სახელმწიფო კონსერვატორიის გამგეობამ დაადგინა ქართულ დივიზიის ყველა ნაწილებში მოაწყოს წითელ-არმიელთათვის უფასო კონცერტები.

დღეს თეატრებში

— **რუსთაველის თეატრი.** თურქული წარმოდგენა.

— **სახელმწიფო ოპერა.** „მეფის საცოლე".

— **სახალხო სახლი.** რუსული წარმოდგენა.

პროვინციაში

საბჭოთა არჩევნები სამტრედიაში

18 ნოემბერს მთელს რაიონში მოხდა ახალი საბჭოების არჩევნები. ქალაქი სადღესასწაულოთ არის მორთული, პროფკავშირის წევრები და სხვა ორგანიზაციები წითელი დროშებით მიდიან დანიშნულ ალაგას, სადაც კრებაა მოწვეული. კრებას ხსნის ალმასკომის თავმჯდ. ამხ სპ. კიკაჩეიშვილი, რომელიც ხალხს აბარებს ანგარიშს, თუ რის გაკეთება შესძლო საბჭომ ამ წელიწად ნახევრის მუშაობით. ამის შემდეგ ილაპარაკეს სხვა ორატორებმა—მუშებმა და გლეხებმა; მათ ხაზი გაუსვეს იმ დადებით მუშაობას, რომელსაც აწარმოებდა ძველი საბჭო; ისინი მოითხოვდენ ახალ საბჭოშიც ისეთ წევრების არჩევას, რომლებიც გააგრძელებენ ძველი საბჭოს მუშაობას, ესე იგი კომუნისტურ პარტიის წევრებს. ამის შემდეგ თავმჯდომარემ გააცნო კრებას, თუ ვის აქვს არჩევნებში ხმის მიცემის უფლება და ვინ არის ამას მოკლებული. ბოლოს წაიკითხა სია კანდიდატებისა, წამოყენებული სამრაიპარტკომის მიერ. გაისმა ტაშის გრიალი და სია ერთხმად იქნა მიღებული.

საბოლოო სიტყვაში თავმჯდომარემ განაცხადა, რომ თქვენი ენერგიული დახმარებით და ხელშეწყობით ახალი საბჭო ენერგიულად შეუდგება აღმშენებლობითი მუშაობას და შეეცდება გაამართლოს ამრჩეველ მშრომელი ხალხის ნდობაო.

ხალხი კმაყოფილი დაიშალა.

ხან-კანი.

ქ. ქუთაისი

ქუთაისის მე-4 (ყოფილი მე 8-ე) შრომის სკოლა მას შემდეგ, რაც მას ცეცხლი გაუჩნდა—შარშან იანვრის ბოლო რიცხვებში - ძლიერ დაზიანდა. რომ სწავლა-აღზრდის საქმე ჩამდგარიყო ნორმალურ კალაპოტში, საჭირო იყო შენობის კაპიტალური რემონტი, მაგრამ წყარო ასეთი შეკეთებისთვის არსად სჩანდა. ამიტომ პედაგოგიურმა საბჭომ ერთ ერთ სხდომაზე დაადგინა სეირნობის გამართვა სადილ-ვახშმით, რათა ამ გზით შეგროვილ ყოფილიყო შესაფერი თანხა ზემოაღნიშნულ მიზნისათვის. გამგეთ სეირნობისა მოწვეულ იქნა ელისაბედი ყარამანის ასული დათეშიძე, რომელიც სიამოვნებით დათანხმდა მიეღო თავის თავზე შრომა ამ მეტად სიმპატიურ საქმისათვის. 11 ნოემბერს გაიმართა სეირნობა სკოლის ეზოში; შედეგი მუშაობისა არის ის, რომ შემოვიდა სულ 6 მილიარდი 837 მილიონი მან., ხარჯი უდრიდა 1 მილიარდ 837 მილიონს, სკოლას დარჩა წმინდა მოგება 5 მილიარდი, რომლითაც შეძენილ იქნა 44 ჩერვონეცი და ერთი ლირა. ამნაირად ღარიბ სასწავლებელს მიეცა საშვალება არსებობისა. დღეს შენობის რემონტი დაწყებულია, თან სკოლა იძენს მისთვის აუცილებელ ნივთებს.

პედაგოგიური საბჭო და მასთან ერთად 800 მოწაფე ახალგაზრდობა უცხადებს გულწრფელ მადლობას სეირნობის გამგეს იმ არაჩვეულებრივ და ენერგიულ მუშაობისთვის სკოლის საკეთილდღეოდ, რომელიც იყო მის მიერ გაწეული საღამოს მოსაწყობად.

მადლობა იმ პირებსაც, რომლებმაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა საღამოს მოწყობაში, ვინც თანაგრძნობით შეხვდა ჩვენს გამოძახილს და გამოიღო წვლილი ამ სიმპატიური საქმისთვის.

სასწავლებლის გამგე სოლომონ ქუთათელაძე.

ს. საჭამიასერი (გურია)

სოფელ საჭამიასერის ახლად დაწყებულ სახალხო სახლის შენობის დამთავრების მიზნით, კომისიის სახელზედ ვგზავნი ერთ ჩერვონეცს და ვიწვევ შემდეგ პირებს: სიმონ ი. ხუნდაძეს, ვასილ კვინტრაძეს, შალვა რ. ხუნდაძეს, თომა ბოცვაძეს (ფოთი), ეპიფანე დუდუჩავას და პულა ხუნდაძეს (ახალციხე). შეუძლიათ ამხანაგებს შეიტანონ რამდენიც მათ მოესურვებათ, მხოლოდ არა ნაკლებ თითო ჩერვონეცისა. მათ თავის მხრივ გამოიწვიონ სხვა პირები.

გ. პ. ხუნდაძე.

ოზურგეთის მაზრა

ოზურგეთში მთავრდება ახალი ტეხნიკუმის აგება, რომელმაც დიდი ხარჯები მოინდომა.

7 ნოემბერს, ოქტომბრის რევოლუციის დღესასწაულის 6 წლის თავზე ოზურგეთში გაიხსნა ამხ. ლენინის ძეგლი.

მენშევიკების და ბანდიტების გავლენა გურიაში მოსპობილია.

მიუხედავათ საშუალო მოსავლისა, გლეხობის მდგომარეობა ცუდია, ვინაიდან მათ მოწეულ პირნახულს ფასი არ აქვს. საჭიროა ამას ყურადღება მიაქციოს ცენტრმა და მდგომარეობის გამოსაკეთებლათ მიიღოს ზომები.

გურიის ყველა თემებში არჩეულია ახალი საბჭოები. მცხოვრებლებმა არჩევნებში მხურვალე მონაწილეობა მიიღეს. ყველგან მიიღეს კომუნისტების მიერ წარდგენილი სიები. არჩეულია აგრეთვე სარაიონო ალმასკომები.

საბჭოების სამაზრო ყრილობა მოწვეულია 24 ნოემბრისთვის.

გ. კი—ძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 72.

ა.|კ. შრომის სახალხო კომისარიატისა.

„სხვა და სხვა ხასიათის სხდომებში—უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების გამოძახების წესის შესახებ.

სხვა და სხვა ხასიათის კომისიების, თათბირების, საბჭოების, კომიტეტების და სხ. სხდომებზე უწყებათა და დაწესებულებათა წარმომადგენლების გამოძახების სწორ და მიზანშეწონილ წესის დაწესებისა და აგრეთვე ამ სხდომებზე წარმომადგენლებათ დანიშნულ წევრის სახით ან გამომგზავნელ ორგანოს ინტერესების დასაცავათ სახელმწიფო დაწესებულებების მიერ მივლინებულ თანამშრომლების მხრივ დროის უბრალოდ დაკარგვის აღმოფხვრის მიზნით ა.|კ. შრომის სახალხო კომისარიატი, თანახმად ა.|კ. სახალხო კომისართა საბჭოს ა.|წ. 25 აგვისტოს დადგენილებისა, აცხადებს:

1. სხდომებზე გამოსაძახი და მოსაწვევი უწყებები სხდომის ადგილის და დროის სწორი აღნიშვნით თავის დროზე უნდა გაეგზავნოს იმ დაწესებულებამ, რომელიც ხელმძღვანელობს, როგორც მუდმივ ისე დროებითი სხვა და სხ. ხასიათის კოლეგიალურ ორგანიზაციების მოქმედებას, სასწრაფო საკითხების დროს, რომლებიც არ მოითხოვენ მომზადებას არა უგვიანეს 1 დღისა სხდომამდე, რთულ საკითხების დროს, რომლებიც მოითხოვენ მომზადებას ან მასალის გაცნობას არა უგვიანეს 3 დღისა სხდომამდე;

2. იმ შემთხვევაში, როდესაც სხდომაზე მოიწვევა უწყების ან დაწესებულების წარმომადგენელი განხილვაში მონაწილეობის მისაღებად ინტერესების დაცვის, ან სხდომის დღის წესრიგში დასმულ ერთ რომელიმე საკითხის გადასაწყვეტათ ინფორმაციის გაკეთების მიზნით, მაშინ ასეთი პირი სხდომაზედ გამოიძახება სწორედ იმ დროს, როდესაც თავმჯდომარის ანგარიშით ეს საკითხი რიგის მიხედვით შეიძლება განხილულ იქნას.

3. მოწვეული და გამოძახებული პირი ვალდებულია სწორედ დანიშნულ დროს გამოცხადდეს, იმ შემთხვევაში, თუ კი არ შეუძლია გამოცხადება, ვალდებულია წერილობით ან ტელეფონით შეატყობინოს ამის შესახებ სხდომის თავმჯდომარეს, გამოუცხადებლობის მიზეზის ახსნით.

4. თავმჯდომარე სხდომას ხსნის დანიშნულ დროზე—დაუგვიანებლივ მოწვეულ პირთა სათანადო რიცხვის გამოცხადებისთანავე.

იმ შემთხვევაში—თუ კი დანიშნულ დროის შემდეგ 16 წუთის განმავლობაში არ გამოცხადდება მოწვეულ პირთა საკმაო რიცხვი, მაშინ თავმჯდომარე აცხადებს, რომ სხდომა არ შესდგება.

5. კოლეგიალურ ორგანიზაციების მოქმედების ხელმძღვანელი დაწესებულებების უფროსები ვალდებულნი არიან დაუგვიანებლივ შეატყობინონ სათანადო უწყებებს სხდომებზე თანამშრომელთა გამოუცხადებლობის შესახებ მათდა დასასჯელად—ამა დადგენილების მე-6-ე მუხლის წესით.

6. იმ პირებმა, რომლებიც არიან დამნაშავე ზემოაღნიშნულ წესების შეუსრულებლობაში—პასუხი უნდა აგონ სადისციპლინო წესით, სისტემატიურ დარღვევის დროს-კი ან და ისეთ შემთხვევებში, როდესაც ამას მოჰყვება ასე თუ ისე მნიშვნელოვანი შედეგები—მიეცემიან სისხლის სამართლით პასუხისგებაში—სამსახურისადმი გულგრილად მოპყრობისათვის.

ა.|კ. შრომის სახალხო კომისარი ს. იაკუბოვი.

ა.|კ. შრომ. სახ. კომ. საერთო საორგ. განყ. გამგე—ორლოვ-მალახოვი.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

26 ნოემბერს დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსით): სოხუმი—16 გრ., ფოთი—9 გრ., ბათომი—12 გ., სამტრედია—9 გრად. ქუთაისი—9 გ., ჭიათურა—5 გრ., წიფა—1 გრ., ბორჯომი—1 გრად., სურამი—1 გრად., ტფილისი—0 გრ., მუკუზანი—5 გრ., ერევანი—1 გრ., ბაქო—12 გრ.

ღრუბლიანობა: სრული სოხუმში, ფოთში და მუკუზანში. მნიშვნელოვანი: სამტრედიაში და ქუთაისში, დანარჩენ ადგილებში სულ მცირე ან მოწმენდილი.

ქარის ქროლა: ფოთში—აღმოსავლეთის, მსუბუქი; ბათომში—სამხრეთის ნელი; წიფაში—ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის, მსუბუქი; დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ სიწყნარეა.

წვიმა: არსად არ ყოფილა.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ფოთში, ბათომში, ბაქოში (ლენქორანი) დაწყნარებულია.

ამინდი საქართველოში:

ცვალებადი ღრუბლიანობა, მშრალი სიგრილე, აღმოსავლეთ ნაწილში არის ყინვებიც.

ჩრდილოეთ კავკასიაში

(25 ნოემბერი დილის 7 საათი)

ვლადიკავკაზი: ტემპერატურა—1 გრ., ღრუბლიანობა—სულ მცირე, ქარის ქროლა — სამხრეთ-დასავლეთის, ნელი.

კიზლიარი. ტემპერატურა—6 გრ., ღრუბლიანობა—მოწმენდილია, ქარის ქროლა—აღმოსავლეთის, მსუბუქი.

ტფილისი

27 ნოემბერი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 14 გრ.

ღრუბლიანობა: 10.

ქარის ქროლა: ჩრდილოეთის, ძლიერ ნელი.

ამინდის ცვალებადობა: 28 ნოემბრისათვის არ არის მოსალოდნელი არსებითი ცვლილება.

ცირკულიარულად.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ყველა ვეტერინარებს.

მიმდინარე წლის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ვეტსანიტარულმა განყოფილებამ და რესპუბლიკის რაიონების სავეტერინარო პერსონალმა შესძლეს საქონლის ჭირის და ციმბირის წყლულის ლიკვიდაცია.

იწყება ზამთრის სეზონი და სავეტერინარო პერსონალს უცოტავდება პრაქტიკულ ხასიათის საქმიანობა, რადგანაც საქონლის მოძრაობა სუსტდება და ამ რიგად ჭირის გავრცელების შემთხვევებიც მცირდება. მაგრამ ამით სავეტერინარო საქმიანობა კი არ უნდა შემოკლდეს, მან უნდა მიიღოს დროის შესაფერი ხასიათი.

ერთ უმთავრეს დამაბრკოლებელ მიზეზად, რომელიც ხელს უშლის ეპიზოოტიებთან ნაყოფიერ ბრძოლას, არის სოფლის მცხოვრებთა შეუგნებლობა, „აქიმბაშების" და მკითხავების მიერ ამ შეუგნებლობით სარგებლობა. ამ მდგომარეობას უნდა გამოეცხადოს მკაცრი ბრძოლა და აი ამ ბრძოლისათვის უნდა დავიხმაროთ ადგილობრივი სამაზრო და სათემო ალმასკომები და კომპარტიის ორგანოები.

წინადადებას გაძლევთ დაიჭიროთ მჭიდრო კავშირი მაზრის და თემის ალმასკომებთან და კომპარტიის ორგანიზაციებთან, მოაწყოთ მათი დახმარებით ლექციები და იქონიოთ ხალხთან საუბარი, სავეტერინარო საკითხების შესახებ.

გაზაფხულზე, როდესაც დაიწყება საქონლის მოძრაობა და წამოჰყოფენ თავს სხვა და სხვა საქონლის გადამდები სენნი—ზამთრით ლექციებით მომზადებული ხალხი უფრო შეგნებით შეჰხვდება საქონლის სენების საწინააღმდეგო აცრას და სხვა ზომებს.

სად და რომელ სავეტერინარო საკითხზე წაიკითხავთ ლექცია, ან და გქონდათ საუბარი ხალხთან, უნდა აცნობოთ ვეტერინარ-სანიტარულ განყოფილებას.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარის მოადგილე: გ. კანდელაკი.

ვეტსანიტარულ განყოფილების გამგე: დ. ახმეტელი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— წინადადება ეძლევა შემდეგ ამხანაგებს სამი დღის განმავლობაში გამოცხადდენ კომკავშირის ცკას სააღრიცხვო განყოფილებაში: 1. ბალახვანსკი ვალენტინი, 2. ბურჭულაძე გერასიმე, 3. თოაგველიძე დავითი, 4. ჩიგოგიძე ბესარიონი, 5. ჩხაიძე შალვა, 6 ძლენტი რაფაელი, 7. შატაბაძე იასონი, 8. ერქომაიშვილი აკაკი.

ს. ა. კ. კ. ცკას სააღრიცხვო განყ. გამგე: ლეკიშვილი.

— საოლქო და სამაზრო საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირი გაიხსნება დღეს, 28 ნოემბერს დილის 10 საათზე ცენტრალურ პარტიულ სკოლის ბინაზე (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქ. კუთხე).

საქ. კომ. პარ. ცენტ. კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

— **„გერმანიის ბავშვთა დამხმარე ლიგა"** დღეს, 28 ნოემბერს საღამოს 7 საათზე, **იწვევს თათბირს**, ს. კ. პ. ტფ. კომიტ. ქალთა განყოფ. ბინაზე და სთხოვს თავისი წარმომადგენლები გამოგზავნონ პროფკავშირთა საბჭომ, არმიამ, კომ. ახალგ. კავშირმა, ტფ. კომიტ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ, სახალხო განათლების განყოფილებამ, ს. კ. პ. ცენტ. კომიტეტმა და ტფ. კომიტ. ქალთა განყოფილებამ.

რადგანაც განსახილველი საგანი ფრიად მნიშვნელოვანია, სავალდებულოა ყველ წარმომადგენელთა დასწრება.

ლიგის საორგანიზაციო ბიურო.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, საღ. 6 საათ. შესდგება საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა საორგანიზაციო კრება.

რაიადგილკომებს წინადადება ეძლევა ფართოდ აცნობონ ამის შესახებ საბავშვო ბაღებს

— ოთხშაბათს, 28 ნოემბერს, საღ. 7 საათ. გ. ნათაძის ლექცია საზოგადო მეტყველებაში.

— შაბათს 1 დეკემბერს საღ. 5 საათ. პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში.

საღ. 8 საათ. ამხ. რუბრუხის მოხსენება: მე-100 სკოლის ზაფხულის მუშაობის ცდა.

საღ. 6 საათზე გალობისა და მუსიკის მასწავლებელთა წრის სხდომა: 1) გალობისა და მუსიკის პროგრამის გარჩევა. 2) გან. მუშ. სახ. მუსიკალური საღამოების მოწყობა.

საღ. 7 საათზე ამხ. არუთინოვის ხელმძღვანელობით პოლიტეკონომიის წრეში მეცადინეობა.

სახ. გამგე შიუკაშვილი.

საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

მეუღლე მარიამ ერძალოზის ასული, შვილები: სიმონ გრიგოლისძე მეუღლით, ეკატერინე გრიგოლის ასული მეუღლით, რძალი ელენე მერაბის ასული და შვილიშვილი ირაკლი ალექსანდრეს ძე წულუკიძეები აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს

გიგო წულუკიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ნოემბრის 29 ქ. ხონში.

188—2—2

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 28 ნოემბერს,

მეფის საცოლე

ნის. 744—3—3

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით [illegible]

მიხეილ გედევანიშვილის ხელმძღვ

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ [illegible] საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ უიფშიძის ხელმძღვ

ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. (126—25—16)

დაიკარგა ბირჟის წიგნაკი № 36564 გრიგორი ჩიკვაიძეს სახელ ზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 190—1—

დაიკარგა პირადობის მოწმობა, მოცემული ალმასკომიდან ლევ ზალდასტანიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 191—1—

„ვოსტოკის" სტამბა სამი წულუკიძის № 4.